პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საშაბათი,
15
სექტემბერი
1936 წ.
№ 214 (4713)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეციალისტი აგროუბანზე, გარდა აგრონომიული დახმარებისა, ვალდებულია კოლმეურნეობას დახმარება გაუწიოს მისი მეურნეობის ორგანიზაციაში... იგი უნდა იყოს არა უბრალოდ თავისი საქმის ვიწრო სპეციალისტი, არამედ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორიც.

ლ. ბერია

(მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე)

საბჭოთა აგრონომი

Ცარიზმის დროინდელი აგრონომები ძირითადად მემამულეებისა და კულაკების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მათი დიდი უმრავლესობა თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა უმიწაწყლო გლეხთა ექსპლოატაციის განმტკიცებას. მემამულეთა აგრონომები გამოდიოდნენ, როგორც „პრუსიული ტიპის" კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზატორები. ისინი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს უმორჩილებდნენ სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებსა და კულაკურ დამონებას, ცდილობდნენ განემტკიცებინათ მიწის მემამულურ-კულაკური კერძო საკუთრება „გაემაგრებინათ" გალატაკებული წვრილი გლეხური მეურნეობა.

სულ სხვაა ახალი, საბჭოთა აგრონომის როლი და ამოცანები სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა აგრონომი ჩვენში სრულიადაც არ არის მარტო კონსულტანტი, აგრონომიულ მეცნიერებათა გამოყენების გულგრილი მრჩეველი. საბჭოთა აგრონომი კოლმეურნე გლეხობის უახლოესი მეგობარი და დამხმარეა. საბჭოთა აგრონომი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აქტიური ორგანიზატორია, იგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა დანერგვის მეთაურია. საქმით ეხმარება კოლმეურნეობებს სასოფლო წარმოების უკეთ მოწყობასა და რენტაბელურად დაყენებაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მძაფრი ეკონომიური კრიზისი გადაეჯაჭვა აგრარულ კრიზისს, ძალზე მცირდება აგრონომის როლი და მისი გამოყენება. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების და სტუდენტთა რაოდენობის წლითი-წლობით შემცირება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფაქტია, რომ ამ ორი წლის წინათ გერმანიის ყველა უმაღლეს სას.-სამ. სასწავლებელში ორი ათასი კაცი სწავლობდა, იტალიაში — ათას ხუთასი, ინგლისში — ათასზე ნაკლები, ამერიკაში — 18 ათასი. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში კი სწავლობს 60 ათასი კაცი, ანუ გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე ყველა „მოწინავე" კაპიტალისტური ქვეყნების უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში ერთად.

საბჭოთა კავშირის მიღწევები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ფრონტზე მართლაც რომ გრანდიოზულია. გენიალური საბჭოთა მოაზროვნის მიჩურინისა და აკადემიკოს ვილიამსის შრომები ამის უდავო დადასტურებას წარმოადგენს, მიუმატეთ ამას ახალგაზრდა საბჭოთა აგრონომების მუშაობა, რომლებიც ახალ აღმოჩენებს ახდენენ სასოფლო მეურნეობის მეცნიერებაში, და ნათელი გახდება აგრონომიული მეცნიერული აზრის უდიდესი წინსვლა, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში.

საქართველოს აგრონომიული ძალებიც იჭერენ საპატიო ადგილს სასოფლო მეურნეობის მეცნიერთა შესანიშნავ ოჯახში. მაგალითად, ძველი აგრონომების კადრებიდან დიდი დამსახურება მიუძღვის კოტე ქარცივაძეს. იგი საბჭოთა აჭარის მიწას ჩინებულად უგუებს ტენიან სუბტროპიკთა უკლებლივ ყველა კულტურას, იგი ზრდის ისეთ პრაქტიკოს სტახანოველებს, როგორიცაა ქვირტის დოსტაქრად წოდებული ახალგაზრდა მენობილე დურსუნ ნაკაშიძე. ასევე წარმატებით მუშაობს აგრონომი ალავიძე ლიმონ-მანდარინის ტრესტში, გორდეზიანი — ბათომში, პროფესორები — მოდებაძე და ჩოლოყაშვილი მევენახეობა-მეღვინეობაში და მრავალი სხვა სწავლული ნოვატორი, რომლებიც ნამდვილად დაწინაურდნენ საბჭოთა ხელისუფლების დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

საშუალო და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელი საქართველოში უმაგალითოდ გაიზარდა. საქართველოს სამ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ირიცხება 2.900 კაცი, ანუ დაახლოებით ათასი კაცით მეტი, ვიდრე გერმანიის ყველა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. გარდა ამისა, 36 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობს 5.497 კაცი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ ტექნიკუმებმა გამოუშვეს 7160 საშუალო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების ასეთი ტემპი არ ახსოვს ისტორიას. მიუხედავად ამისა, ეს ტემპი ჩვენთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. საკოლმეურნეო სოფელი მოითხოვს კიდევ მეტ აგრონომებს, აგროტექნიკოსებს, ინჟინერ-მექანიკოსებს, ვეტექიმებს, ზოოტექნიკოსებს, მცენარეთა დაცვის სპეციალისტებს და მასობრივი კვალიფიკაციის ახალ და ახალ კადრებს სოფლის მეურნეობის უდიდესად გაუმჯობესებული ტექნიკური ბაზის გამოსაყენებლად.

ნაკლოვანებები და ჩამორჩენა მარტო აგრონომიული ძალების რაოდენობის მხრივ კი არა გვაქვს. მთავარი ისაა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ რიგიანად არ არის მოწყობილი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებული კადრების გამოყენება. ბევრი აგრონომი და აგროტექნიკოსი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებით.

ახლა, როდესაც სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და კოლმეურნეობებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის ამოცანა მეტისმეტად გაზრდილია, ყოვლად შეუძლებელია შევურიგდეთ აგრონომების ძველებური „სტილით" მუშაობას. მთელი აგრომომსახურების ქსელი ისე უნდა გარდაიქმნას, როგორც ამას მოითხოვს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ინტერესები. ამისათვის კი აუცილებელია იმ მითითებათა მტკიცედ გატარება ცხოვრებაში, რომლებიც ამხ. ლ. ბერიამ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე მოგვცა.

ამხანაგი ბერია მოითხოვს, რომ „სპეციალისტები, რომლებიც აგროუბნებზე მუშაობენ, იმყოფებოდნენ, ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ადგილობრივ, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ".

ამხანაგ ბერიას მითითების მიხედვით „სპეციალისტი აგროუბანზე, გარდა აგრონომიული დახმარებისა, ვალდებულია კოლმეურნეობას დახმარებას უწევდეს მისი მეურნეობის ორგანიზაციაში, შრომის ორგანიზაციაში, აღრიცხვისა და ანგარიშების სწორად დაყენებაში, შემოსავლის განაწილებაში".

აგრონომები უნდა ეხმარებოდნენ სტახანოველებს, დამკვრელებს, ყველა რიგით კოლმეურნეს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დაუფლებასა და გამოყენებაში. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ქოხლაბორატორიებში აგრონომები უნდა მეთაურობდნენ მასების თვითინიციატივის გაშლას, მათი მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, საკოლმეურნეო მინდვრების ოსტატთა დარაზმვას ყველა სახის ტექნიკური კულტურებისა და მარცვლეულის მოსავლიანობის გასადიდებლად, პირუტყვის სარეკორდო პროდუქტიულობის მისაღწევად.

ყველაზე უფრო ეს შეეხება საუბნო აგრონომს, რომელიც თავისი მდგომარეობითა და მოწოდებით ვალდებულია იდგეს საკოლმეურნეო ცხოვრების შუაგულში.

მაგრამ აგრონომი თავისი მოვალეობის განაღდებას ვერ შესძლებს, თუ მას ყოველდღიური დახმარება არ გაუწიეს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. თუ უბნის აგრონომს ადამიანურ ბინას არ აძლევენ, სისტემატურად უგვიანებენ ხელფასს, არ ზრუნავენ მისი ოჯახური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე და აიძულებენ ფეხით იაროს ხშირად მრავალ ათეული კილომეტრის მანძილზე გაფანტულ კოლმეურნეობებში, ცხადია, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

„საუბნო აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტექიმს — ამბობს ამხ. ლ. ბერია — პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გარს უნდა შემოერტყან მზრუნველობითა და ყურადღებით, შეუქმნან მათ კარგი პირობები მუშაობისათვის".

დროა ბოლო მოეღოს სამიწათმოქმედო ორგანოების, პირველ რიგში საქართველოს მიწსახკომის, უგულებელყოფ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებისადმი. ამ კადრების განაწილების, გამოყენებისა და მათზე მზრუნველობის საქმეში სასწრაფოდ უნდა მოხდეს რადიკალური გარდატეხა.

კოლმეურნე ახალგაზრდობა, რომელსაც სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აქვს განათლების უფლება და ყველა საშუალება ამ განათლების მისაღებად, ცხადია, უფრო დიდი ინტერესით დაეწაფება სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებას. ყოველწლიურად ასობით და ათასობით ახალი მუშაკებით შეივსება სოფლის მეურნეობის ტექნიკური ინტელიგენციის რიგები და უმაგალითოდ გამრავლდება მასობრივი კვალიფიკაციის კადრების რიცხვი თვით კოლმეურნეთა წრიდან.

ჩვენი ვალია შევუქმნათ ამ კადრებს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის ფართო ასპარეზი, მივსცეთ მათ მუშაობის უძლიერესი შინაგანი სტიმული. ჩვენი ვალია დავეხმაროთ საბჭოთა აგრონომებს და ნამდვილად, გადავაქციოთ ისინი სასოფლო - სამეურნეო მეცნიერების გამოყენების მეთაურებად, მთელი საკოლმეურნეო წარმოების ბოლშევიკ ორგანიზატორებად.

ციტრუსების მყნობა
(მიწსახკომის 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	[illegible]	გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთი	841.900	68,1
აჭარა	1.261.500	78,5
ფოთისა	252.200	67,7
მახარაძისა	1.841.000	84
ლანჩხუთისა	688.100	122,8
ჩხატაურისა	60.000	85,7
ზუგდიდისა	364.500	67,6
ხობისა	137.200	64,8
ცხაკაიასი	170.900	85,4
აბაშისა	78.000	70,7
გეგეჭკორისა	10.000	23,8
ჩხოროწყუსი	11.400	95
წალენჯიხისა	26.000	57,7
სულ.	5.742.700	79,7

○

ციტრუსების მყნობის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 20 სექტემბერი. 10 სექტემბრისათვის მყნობის გეგმის შესრულება 79,7 პროცენტით მოწმობს, რომ მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, და უზრუნველვყოთ მყნობის გეგმების ვადაზე შესრულება. გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად მთავარია—მივაღწიოთ დამყნილი მასალის სულ მცირე 95 პროცენტის გახარებას.

საბჭოთა ავიაციის ამაყი შევარდენები

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი (მარჯვნივ) და შტურმანი ამხ. ლევჩენკო. („სოიუზფოტო")

ამხანაგ სტალინს

ჩვენი გადმოფრენა ლოს - ანჟელოსიდან მოსკოვში დამთავრებულია. ჩრდილოეთის საერთაშორისო საჰაერო გზა ახლო მომავალში გახდება დიდ ტრასად, რომელიც საბჭოთა კავშირს დააკავშირებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. აეროდრომზე ჩვენი ფინიშის მომენტში გადმოგვცეს სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსე თქვენი მისალმება.

ძნელია ამ მომენტში ჩვენს გრძნობებზე ლაპარაკი: მეტისმეტად აღელვებულნი ვართ იმ ყურადღების გამო, რომელსაც ასე უხვად გვიწევენ ჩვენ, დიადი საბჭოთა ხალხის რიგით შვილებს. გადაფრენის, მძიმე, ძნელ ეტაპებზე — ასეთი ეტაპები კი ჩვენ ცოტა როდი გვქონდა — თქვენი ერთი მოგონება საკმარისი იყო, რომ ახალი ძალებით ჩავბმულიყავით ბრძოლაში და გაგვემარჯვნა. თქვენ ჩვენთვის არა მარტო შთაგონებისა და დიდი გეგმების წყარო ხართ, არამედ გამარჯვების სიმბოლოც, თქვენს სახელს გულში ვატარებთ, როგორც ნათურას, რომელიც მგზნებარედ და მხურვალედ მოგვიწოდებს წინ.

საბჭოთა მიწა-წყალზე მცხოვრებ ადამიანს ახასიათებს ეს მუდმივი სწრაფვა წინ. და სანამ ჩვენს სხეულში სისხლი სჩქეფს, სანამ ჩვენი გული სძგერს, მთელ ჩვენს ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას, ნებისყოფას მოვახმართ სოციალიზმის ახალი საჰაერო გზების გაკაფვას, ადამიანის სიდიადის ახალი მწვერვალების დაპყრობას. და მთელ ჩვენს შრომას, როგორც მთელს ჩვენს სიცოცხლესაც, გიძღვნით თქვენ, ჩვენო მეგობარო და მასწავლებელო, მშობლიურო მამავ, ამხანაგო სტალინ.

საბჭოთა კავშირი იმას ანხორციელებს, რაც ათასწლობით კაცობრიობის ოცნება იყო. თქვენ ამყარებთ ახალ წესწყობილებას და ჰქმნით ახალ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას დედამიწაზე. თუ ჩვენი მცირედი გადაფრენები ხელს უწყობენ თქვენი დიადი საქმის დამთავრებას — ეს ჩვენთვის ბედნიერებაც არის, სიამაყეც და სიხარულიც.

ჩვენი სამშობლო ძლიერი და უძლეველია, იმიტომ რომ მისი შვილები სწირავენ მას არა მარტო ენერგიასა და ძალღონეს, არამედ როდესაც საჭიროა სიცოცხლესაც. დღეს, მოვფრინდით რა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, გვინდა სიტყვა მოგცეთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ ვიქნებით ჩვენი სამშობლოს, მისი დიდი ბელადის ერთგული შვილები.

ჩვენ ამას საქმით დავამტკიცებთ!

სიგიზმუნდ ლევანევსკი
ვიქტორ ლევჩენკო

○ ○ ○

პატაკი
ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს

დღეს ჩვენ დავამთავრეთ გადმოფრენა ლოს-ანჟელოსი — მოსკოვი, 19.000 კილომეტრის მანძილზე. მისი ტრასა გასდევს წყნარი ოკეანეს სანაპიროს, მიიმართება ჩრდილოეთის საზღვაო გზის გასწვრივ, იაკუტიის, ციმბირისა და სსრ კავშირის ცენტრალური რაიონების ტერიტორიაზე, აკავშირებს ორ დიდ ქვეყანას — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გადმოფრენა კიდევ უფრო დააახლოვებს ამ ორი ქვეყნის ხალხებს.

მთელი გადმოფრენის მანძილზე ჩვენ ვგრძნობდით დიდი სტალინის ზრუნვას, რომლის სახელი აღგვაფრთოვანებდა ჩვენს გზაზე წამოჭრილი ყველა წინააღმდეგობების დასაძლევად. ჩვენ ვგრძნობდით უდიდეს სიყვარულს და დახმარებას ჩვენი მშვენიერი სამშობლოისას, რომლის საკეთილდღეოდ ჩვენ მზად ვართ გავიღოთ ყველაფერი — ძალები, ცოდნა, სიცოცხლე.

დავამთავრეთ რა გადმოფრენა, ჩვენ მზად ვართ პარტიისა და მთავრობის ყოველივე ახალი დავალების შესასრულებლად.

ს. ლევანევსკი.
ვ. ლევჩენკო.
1936 წ. 13 სექტემბერი.

◇◇

საზეიმო შეხვედრა

მოსკოვი, 13 სექტემბერი. მოსკოვი გულთბილად და მხიარულად შეხვდა გმირ მფრინავებს, შჩელკოვოს აეროდრომისაკენ მიმავალ ქუჩებსა და გზებზე კვლავ აფრიალდა წითელი და ცისფერი დროშები, ქუჩებსა და გზატკეცილის სვეტებზე გადაიჭიმა მისასალმებელი პლაკატები, სახლებზე გამოჩნდა საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებათა სულისჩამდგმელის, ხალხთა ბელადის ამხანაგი **სტალინის,** მისი უახლოესი თანამებრძოლებისა და მამაცი საბჭოთა მფრინავების, ჩვენი სამშობლოს გმირი შვილების ასობით პორტრეტები.

შჩელკოვოს აეროდრომზე მფრინავების შესახვედრად მოვიდნენ ნათესავები და მეგობრები, მფრინავები, წითელი არმიის მეთაურები, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელნი. შემხვედრთა შორის არიან ამერიკის საელჩოს მოხელენი.

აეროდრომზე ყოველ წუთს მოდიან ათობით მანქანები. 5 საათისათვის აეროდრომზე მოდიან ამხანაგები ხრუშჩოვი, კულკოვი, კრესტინსკი, მ. მ. კაგანოვიჩი, ტკაჩოვი, უშაკოვი, იანსონი და სხვები. გამოჩნდებიან თავდაცვა-ავიაქიმის სასწავლო საფრენოსნო რაზმები, ბავშვები თაიგულებით ხელში.

აეროდრომს განუწყვეტლივ კავშირი აქვს იმ ტრასასთან, რომლითაც ლევანევსკის თვითმფრინავი მოდის.

სრულ 17 საათზე ანგარიების მაღლა გამოჩნდება მომწვანო — წითელი ჰიდროპლანი, და ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე შემხვედრებს თავს დასტრიალებს.

მოულოდნელად ლევანევსკი მონოპლანს მარცხნივ მოაბრუნებს და საფრენოსნო მინდვრის მეორე კიდეზე დიდ წრეს აკეთებს აეროდრომზე, კიდევ ერთი წუთი და თვითმფრინავი ეშვება.

თვითმფრინავისაკენ მისრიალებენ ავტომობილები. მირბიან შემხვედრნი...

17 საათსა და 5 წუთზე თვითმფრინავი ჩერდება ავტომობილების ახლოს, რომლებიდან გადმოდიან ამხ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ანდრეევი, რუძუტაკი, მეჟლაუკი, ანტიპოვი, იაგოდა და სხვ.

თვითმფრინავის კაბინიდან პირველი გამოჩნდება შტურმანი ამხ. ლევჩენკო. ამხ. ლევჩენკო, როგორც კი დაინახავს ამხანაგებს მოლოტოვსა და ლ. მ. კაგანოვიჩს, სწრაფად ჩამოხტება მიწაზე და მორბის მათ შესახვედრად. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი გულთბილად ესალმებიან მამაც შტურმანს, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ერთგულ შვილს.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი მოტორს აჩერებს და გამოდის თვითმფრინავის კაბინიდან. იგი სწრაფად მიდის ამხანაგ მოლოტოვთან და აღელვებული ამბობს:

— ამხანაგო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარევ, გიპატაკებთ, რომ გადმოფრენა ლოს-ანჟელოს —მოსკოვი დამთავრებულია.

— მოგილოცავთ, მოგილოცავთ! — ღიმილით უპასუხებს ამხანაგი მოლოტოვი და მაგრად ართმევს ხელს ამხ. ლევანევსკის.

როგორც კი ამხანაგები ლევანევსკი და ლევჩენკო თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ, ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა გადასცა მათ ამხანაგი სტალინის მისალმება. მამაცი მფრინავები, რომლებმაც გრანდიოზული გადაფრენა მოახდინეს, ღრმად ნასიამოვნები და სიხარულით აღტაცებული იყვნენ ამხანაგი **სტალინის** ყურადღებით მათდამი: ხალხთა დიდი ბელადის მისალმება მათ მიიღეს, აეროდრომზე, როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ.

ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი მაგრად ართმევს ხელს ამხანაგებს ლევანევსკისა და ლევჩენკოს.

საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ლევანევსკის აგრეთვე გულითადად ართმევენ ხელს ამხანაგები ანდრეევი, რუძუტაკი, მეჟლაუკი, ანტიპოვი, იაგოდა.

ამ მომენტში აეროდრომზე გამოჩნდება მსუბუქ და სწრაფმავალ გამანადგურებელთა რგოლი. გამანადგურებელთა მფრინავები მაღლა აფრინდებიან და ჰაერში აკეთებენ მაღალი პილოტაჟის საოცარ ფიგურებს, სალამს უძღვნიან რა თავისი მაღალი ოსტატობით ორ თავის თანამოძმეს, რომლებიც 7 კვირის უძნელესი გადმოფრენის შემდეგ დაბრუნდნენ საბჭოთა მფრინავების მშობლიურ ოჯახში.

მოკლე ხნის მეგობრული მისალმებებისა და ხელის ჩამორთმევის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი კვლავ ადგილს იჭერს თვითმფრინავის კაბინში და მანქანა კოხტად მისრიალდება ტრიბუნასთან.

ტრიბუნაზე ამხანაგების მოლოტოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ანდრეევის, ხრუშჩოვის, რუძუტაკის, მეჟლაუკის, ანტიპოვის, იაგოდას, კულკოვის გამოჩენას მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით ეგებებიან. მოისმის მისალმების შეძახილები დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლებისადმი.

შემდეგ გაიმართა საზეიმო მიტინგი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ლევანევსკისა და შტურმან ამხ. ლევჩენკოს შეხვედრისადმი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან მეგობრული შეხვედრით გახარებულნი და აღტაცებულნი, ამხანაგები ლევანევსკი და ლევჩენკო თავის ოჯახის წევრებთან ერთად სხდებიან ყვავილებით მორთულ მანქანებში და ქალაქისკენ მიიმართებიან. მათ მიჰყვება ავტომობილების გრძელი მწკრივი.

უკვე გზატკეცილზე მამაც მფრინავებს ეგებებიან ათასობით კოლმეურნენი, საბჭოთა მეურნეობებისა და ახლობელი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები. რამდენადაც უფრო უახლოვდებიან მოსკოვს, იმდენად უფრო მრავლდება ხალხი, გამოსული გმირ - მფრინავების შესახვედრად. ქალაქში, პრეობრაჟენსკის მოედნიდან დაწყებული რუსაკოვის ქუჩაზე, კომსომოლსკაიას მოედანზე, კიროვის ქუჩაზე, მფრინავებს ელოდებიან ასიათასობით ადამიანები, რომლებიც კედლად ჩამწკრივებულან და აღფრთოვანებით ესალმებიან ლევანევსკისა და ლევჩენკოს.

○

შჩელკოვოს აეროდრომზე შეხვედრის შემდეგ მოსკოვის საბჭოში გაიმართა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამხანაგური საუბარი მამაც მფრინავებთან ამხ. ლევანევსკისა და ლევჩენკოსთან და მათი ოჯახის წევრებთან.

საუბარს დაესწრნენ მოსკოვის ორგანიზაციების, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მუშაკები და მფრინავები.

მიტინგი შჩელკოვოს აეროდრომზე

მოსკოვი, 13 სექტემბერი. 17 საათსა და 25 წუთზე ჩრდილოეთის მთავარი საზღვაო გზის უფროსის მოადგილე ამხ. იანსონი საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით ხსნის საზეიმო მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ლევანევსკისა და შტურმან ამხ. ლევჩენკოს შეხვედრისადმი.

ამხ. იანსონის შესავალი სიტყვის შემდეგ, მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. ვ. მ. მოლოტოვს.

მიკროფონთან მიდის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი. შემხვედრნი ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ მთავრობის მეთაურს. მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხ. მოლოტოვს!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!".

ამხ. მოლოტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო ლევანევსკი და ლევჩენკო, ჩვენო სახელოვანო გმირებო, რომლებმაც შესანიშნავი გზა გაიკვლიეთ ამერიკიდან საბჭოთა კავშირისაკენ, გაიკვლიეთ ახალი გზა, რომელიც ჩვენ ამერიკასთან გვაერთებს ყველაზე ძნელი ადგილებით, შორეული ჩრდილოეთით, ოკეანითა და მთებით! პარტიისა და მთავრობის სახელით მოგილოცავთ თქვენ, ამხანაგებო, უდიდეს წარმატებას, საბჭოთა ავიაციის ერთერთი სახელოვანი ისტორიული ამოცანის შესრულებას. ჩვენ აქ ვულოცავთ მთელს ჩვენს ავიაციას, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის ცნობილი საბჭოთა კავშირის გმირები და მათ შორის — ლევანევსკი, ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ბელიაკოვი, მოლოკოვი, რომლებმაც ამ წელს ავიაციის ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს შორეულ ჩრდილოეთში. ჩვენ ვულოცავთ ჩვენს საბჭოთა ავიაციას იმას, რომ მის რიგებში იზრდებიან ისეთი შესანიშნავი შტურმანები, როგორადაც ამ გადაფრენაში თავი გვიჩვენა ამხ. ლევჩენკომ. ლევანევსკ - ლევჩენკოს გადმოფრენამ გვიჩვენა, თუ საბჭოთა მფრინავები რა წარმატებით ასრულებენ სტალინურ მითითებას: სიმამაცე და გმირობა შევუხამოთ ტექნიკურ მიღწევათა ცოდნასა და უნარს. ისინი ამ მითითების შესრულებას უყურებენ როგორც ისეთ ამოცანას, რომლის გადაწყვეტაში წარმატებას მოითხოვს პატივი და ღირსება საბჭოთა მოქალაქისა, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა, ლენინ - სტალინის პარტია, ჩვენი დიდი ბელადი ამხ. **სტალინი** (ტაში).

ჩვენი ქვეყანა ახალ გზაზე გამოვიდა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს უჩვენებს ახალ გზებს ბედნიერი ცხოვრებისაკენ. ვის, თუ არა ჩვენს საბჭოთა გმირებს უნდა ეკუთვნოდეთ პირველი ადგილიც ახალი მსოფლიო გზების გაყვანაში, მკაცრი ბუნების ყველა წინააღმდეგობისა და სტიქიის ყველა ზღუდის გადალახვით! ვერავითარი სიძნელეები, ვერავითარი მტრული ძალები, მშრომელთა საქმის მოღალატეთა ვერავითარი გამოსვლები ვერ შეაფერხებს ჩვენს მონაპოვრებს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მთელი ჩვენი საქმის და მთელი ჩვენი მუშაობის, დიდი და მცირე მუშაობის, მფრინავთა და შტურმანთა ყოველდღიური მუშაობის სათავეში და ჩვენს შორეულ ლაშქრობებში საუცხოო გადაფრენების დროს, როგორც ყოველგვარ სხვა საქმეში, ჩვენ გვაღფრთოვანებს ბოლშევიკური პარტია, უშუალოდ გვიძღვება და ჩვენს საქმეს ხელმძღვანელობას უწევს მშრომელთა სახელოვანი და დიდი ბელადი — ამხ. **სტალინი,** (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თქვენ თვითონ დაინახავთ და ყოველ ნაბიჯზე იგრძნობთ, რომ თქვენს მიერ გაკეთებული საქმე არის არამარტო მთელი საბჭოთა ავიაციის საქმე არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმე. ჩვენ მოგილოცავთ დიდ წარმატებას. გისურვებთ ახალ და ახალ წარმატებებს თქვენს სახელოვან საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა ავიაციას და მის სახელოვან წარმომადგენლებს — საბჭოთა კავშირის გმირს ლევანევსკის და შტურმან ლევჩენკოს!

გაუმარჯოს საბჭოთა ავიაციის სახელოვან შევარდენებს, რომლებიც აღზარდა ლენინ-სტალინის პარტიამ!

როდესაც ამხანაგი მოლოტოვი სიტყვას ამთავრებს, კვლავ იწყება მხურვალე ოვაცია. დიდხანს გრიალებს ტაში და მისალმებანი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** პატივსაცემად, მთავრობის მეთაურის ამხანაგი მოლოტოვის პატივსაცემად, დიადი საბჭოთა სამშობლოს მამაცი შვილების, სახელოვანი და ამაყი შევარდენების პატივსაცემად.

სიტყვა ეძლევა ამხ. ლევანევსკის. ათასობით ადამიანები მას მქუხარე ტაშით ესალმებიან.

ამხ. ლევანევსკის სიტყვა

— ამხანაგებო, იმ შეხვედრით, რომელსაც მე აქ ვხედავ, მე ლევჩენკოსთან ერთად, ვგრძნობ, რომ რაღაც კარგი რამ გავაკეთეთ.

და ჩვენ გვინდა, თუ ეს შესაძლებელია, ის შრომა, რომელიც გავსწიეთ გადაფრენის პროცესში, — ვუძღვნათ ამხანაგ **სტალინს,** როგორც მთელი ჩვენი სიცოცხლეც.

ეს მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა იწვევს საყოველთაო აღფრთოვანებულ ოვაციას.

○

მიტინგი დამთავრებულია. ფოტოაპარატებით სურათებს იღებენ. ამხანაგები, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, რუძუტაკი, ხრუშჩოვი, მეჟლაუკი, ანტიპოვი გულთბილად ემშვიდობებიან ამხანაგებს ლევანევსკისა და ლევჩენკოს. (საქდს).

◇ ◇ ◇

მიღება მამაც მფრინავების პატივსაცემად

საღამოს 7 საათზე, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს მოწვევით, მოსკოვის საბჭოს თეთრ დარბაზში შეიკრიბნენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მუშაკები, მფრინავები, მოსკოვის ორგანიზაციის მუშაკები, მამაცი მფრინავების შესახვედრად, რომლებმაც გამარჯვებით დაამთავრეს ისტორიული გადმოფრენა ლოს-ანჟელოსი—მოსკოვი. დამსწრენი ხანგრძლივი ოვაციით ეგებებიან ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ვ. ი. მეჟლაუკს, ნ. კ. ანტიპოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, გ. გ. იაგოდას, ნ. მ. იანსონს და გმირ მფრინავებს, ს. ა. ლევანევსკისა და ვ. ი. ლევჩენკოს.

დაიწყო გულითადი საუბარი მფრინავებთან, რომლებმაც დამსწრეთ უამბეს თავისი შესანიშნავი ისტორიული გადმოფრენის ეპიზოდები. ამხ. იანსონმა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ლევანევსკის და შესანიშნავი შტურმანის ამხ. ლევჩენკოს სადღეგრძელო, რომლებმაც მოახდინეს ისტორიაში პირველი გადმოფრენა ლოს - ანჟელოსი — მოსკოვი. დამსწრენი მხურვალედ ესალმებიან მფრინავებს.

ამხ. ლევანევსკიმ, ფრიად აღელვებულმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსახლეობის შეხვედრით, წარმოსთქვა იმის სადღეგრძელო, ვისი სახელიც აღფრთოვანებდა და თავს დასტრიალებდა მას ამერიკის შეერთებული შტატები— სსრ კავშირის მთელ ტრასაზე, რომლითაც მათ გადმოფრენა მოახდინეს, — დიდი **სტალინის** სადღეგრძელო.

ამხ. ლევჩენკო ამბობს, რომ იგი ვერ პოულობს სიტყვებს, რომლითაც შეიძლებოდეს ყოველივე იმის გამოხატვა, რასაც იგი და ამხ. ლევანევსკი გრძნობენ. იგი ბედნიერია იმით, რომ იგი—შვილია დიადი ქვეყნისა და დიდი გმირული ხალხისა, რომლის მამაა ამხანაგი **სტალინი.** ამხ. ლევჩენკო სადღეგრძელებს ამხანაგ სტალინს და მის ერთგულ თანამებრძოლებს — ამხანაგებს მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს.

დამსწრენი მქუხარე ოვაციით, „ვაშას" ძახილით ესალმებიან ამხანაგ სტალინს და მის უახლოეს თანამებრძოლებს.

ამხანაგებმა მოლოტოვმა და ანდრეევმა წარმოსთქვეს დარბაზში დამსწრე საბჭოთა კავშირის გმირების — ამხანაგების ლევანევსკის, სლეპნიოვისა და ვოდოპიანოვის და საბჭოთა კავშირის იმ გმირების სადღეგრძელო, რომლებიც შეხვედრას არ დაესწრებიან და რომლებიც ჩვენ ყველას გვიყვარს, პატივს ვცემთ და გვახსოვს. ისევ და ისევ გაისმის მქუხარე მისალმებანი.

პოეტი ლახუტი ლაპარაკობს მფრინავთა იმ შესანიშნავ თაობაზე, რომელიც აღზარდა სოციალიზმის ქვეყანამ, იმ მფრინავებზე, რომლებმაც ახალი და ახალი გამარჯვება მოაქვთ თავისი ხალხისათვის და რომლებიც რისხვას წარმოადგენენ საბჭოთა ქვეყნის მტრებისათვის.

ამხ. იანსონმა წარმოსთქვა მოსკოვის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ხრუშჩოვის და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბულგანინის სადღეგრძელო. დამსწრენი ხანგრძლივად ესალმებიან მოსკოვის ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ამხ. ხრუშჩოვს.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი ამბობს შინაარსიან და გულთბილ სიტყვას საბჭოთა ავიაციისა და საბჭოთა კავშირის გმირებზე. იგი ამბობს:

„შემთხვევითი არ არის, რომ მთელ ჩვენს ქვეყანას—მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ხელმძღვანელებსა და ხელმძღვანელთა ხელმძღვანელს ამხანაგ სტალინს ასე ღრმად უყვართ ავიაცია და მისი ადამიანები. ამხანაგ სტალინმა შექმნა ჩვენი ძლიერი ავიაცია და აღზარდა მისი გმირი მფრინავები. ჩვენი ავიაცია ასახიერებს სოციალიზმის ქვეყნის დიდ ინდუსტრიულ სიძლიერესა და ტექნიკას, ტექნიკადაუფლებულ მფრინავთა ღრმა ცოდნას. ამხანაგმა სტალინმა დაავალა ამხ. ლევანევსკისა და ლევჩენკოს გადაეცეთ მისი მისალმება იმ წუთსავე, როგორც კი ისინი შჩელკოვოს აეროდრომზე დაეშვებიან და თვითმფრინავიდან გადმოვლენ. მისალმება, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „ცხელი სალამი ჩვენი სამშობლოს მამაც შვილებს!" ჩვენი ავიაცია ასახიერებს არა მარტო საბჭოთა კავშირის მაღალ ტექნიკას, არამედ იმ საბჭოთა ხალხის გმირობასაც, რომელიც დგას საზღვრების სადარაჯოზე. ჩვენი მფრინავები ჰაერს იპყრობენ. მაგრამ, მტერი საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დარღვევას თუ გაბედავს, ისინი მტრებს გაანადგურებენ და მიაღწევენ ჩვენი სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობას.

ამხანაგი კაგანოვიჩი წარმოსთქვამს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს, მისი დიდი გმირული ხალხის, მისი უძლეველი წითელი არმიის, მისი ძლიერი ინდუსტრიის, საბჭოთა მთავრობის, მამისა და მასწავლებლის, მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინის სადღეგრძელოს.

დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ესალმებიან დიდ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის გმირებს.

ამხანაგი მოლოტოვი ულოცავს საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ლევანევსკის, წინათ ლენინის ორდენით და წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულს, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას და ამხ. ლევჩენკოს—ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით და „ვაშას" ძახილით ესალმებიან ამხანაგ მოლოტოვს და გმირ მფრინავებს.

კიდევ დიდხანს გრძელდებოდა გულითადი საუბარი შესანიშნავ მფრინავებთან, რომლებმაც გამარჯვებით დაამთავრეს ისტორიული გადმოფრენა (საქდს).

დიადი სამშობლოს მამაცი შვილები

1936 წელს უკვე ახლა სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა ავიაციის ტრიუმფული წელიწადი. სტალინური მარშრუტებით, სტალინის სახელით გულში და ბაგეზე, საბჭოთა ამაყი შევარდნები ზედიზედ იმარჯვებენ სტიქიაზე.

ჩვენი სამშობლოს ტრიუმფი იყო გადაფრენა ჩკალოვისა, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვისა, რომელთა გმირობასა და გაბედულებას, სიმამაცესა და სიმტკიცეს განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი მსოფლიო. საბჭოთა კავშირის ტრიუმფს წარმოადგენენ განუწყვეტელი — ერთიმეორეზე უფრო ლამაზი და ბრწყინვალე აფრენები სიმაღლეზე ვლადიმერ კოკინაკისა, რომელმაც თავისი სიმაღლის რეკორდებით შორს მოიტოვა ყველა ქვეყნის ყველა მფრინავი დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირის გმირის ვასილ მოლოკოვის შესანიშნავი არქტიკული გადაფრენა. ხოლო გუშინ შჩელკოვის აეროდრომზე მოხდა ლოს-ანჟელოს-მოსკოვის მარშრუტით ისტორიული გადმოფრენის ბრწყინვალე ფინიში.

19 ათასი კილომეტრი დაჰფარეს ამ გადმოფრენის დროს მამაცმა შევარდნებმა ლევანევსკიმ და ლევჩენკომ. მათ აირჩიეს გადაფრენის უმოკლესი, მაგრამ ამასთან ერთად უძნელესი ვარიანტიც. მათ გადაუარეს ქვეყნიერების სამს ნაწილს — ამერიკას, აზიასა და ევროპას, მიფრინავდნენ მღელვარე ოკეანეზე და გამოუკვლეველ ნაპირებზე. შტურმანი ვიქტორ ლევჩენკო მოგვითხრობს, რომ თითქოს ჩვენი მფრინავების გამოსაცდელად კანადაშიც და ალიასკაშიც სქელი ნისლი ჰფარავდა მთებს, ოკეანეს კლდოვან ნაპირებს, მდინარეთა ხეობებს, ქალაქებსაც კი. მაგრამ საბჭოთა მფრინავებისათვის სტალინური მოსკოვის შუქი თვით საშინელ ნისლსაც ჰფანტავს. უდიდესი ძალის შუქურად უნათებდა გზას ლევანევსკის და ლევჩენკოს ჩვენი დიადი სამშობლო, მისი დედაქალაქი მოსკოვი,—ისინი დაუღალავად მოფრინავდნენ წინ, იმარჯვებდნენ და გაიმარჯვეს!

დიდი პატივისცემა ელოდა ჩვენს მფრინავებს მოსკოვში. შჩელკოვის აეროდრომზე მათ შეხვდნენ ჩვენი ეპოქის უგენიალურესი ადამიანის უახლოესი თანამებრძოლნი — ამხანაგები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი. მამაც მფრინავებს უკვე აეროდრომზე ელოდა უდიდესი სიხარული —სოციალიზმის გამარჯვებათა შემოქმედებისა და სულისჩამდგმელის ამხანაგ სტალინის წერილი. მამაც მფრინავებს გულთბილად შეხვდნენ სოციალიზმის დედაქალაქის ათიათასობით მშრომელები.

საბჭოთა კავშირის გმირმა სიგიზმუნდ ლევანევსკიმ ამ დღეებში მოკრძალებით სთქვა: ჩვენი ქვეყანა უხვია სიყვარულითაო. დიახ, ეს მართალია. საბჭოთა ქვეყანა უხვია სიყვარულით თავისი მამაცი შვილებისადმი და მათ დაიმსახურეს ეს სიყვარული. მათ დაიმსახურეს სიყვარული თავისი დედა — სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით, სიმამაცით, გაბედულებით, ენერგიით, ოსტატობით. მათ დაიმსახურეს ხალხის სიყვარული იმით, რომ მრავალჯერ დაამტკიცეს: არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომლის გადალახვაც არ შეეძლოთ საბჭოთა მფრინავებს სტალინის მოწოდებით, არ არსებობს სტალინის ისეთი დავალება და ისეთი მარშრუტი, რომელიც მათ ვერ შეასრულონ.

მამაცთა შორის თერთმეტ უმამაცესს მიანიჭა ჩვენმა მთავრობამ ხალხის სახელით საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი სახელწოდება. ეს სახელწოდება მათ დაიმსახურეს უმაგალითო გმირული საქმეებით, რომლებსაც მთელი საბჭოთა ხალხი ქება-დიდებას უგალობს. ჩვენი გმირების ერთერთი თავისებურებაა არ ვაჩერდნენ, არ დამშვიდდნენ მიღწეულზე, და სიგიზმუნდ ლევანევსკიმ ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ჩვენი გმირები ჯერ კიდევ არა ერთ დიდ გამარჯვებას მოუტანენ თავიანთ სამშობლოს. საბჭოთა მფრინავებს გაჰყავთ ახალი უმოკლესი საჰაერო გზები სსრ კავშირიდან ამერიკაში, დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროდან დასავლეთის ნახევარსფეროში. ამ გზებს დიდი მომავალი აქვთ და ლოს-ანჟელოს-მოსკოვის სტალინური მარშრუტით გადაფრენით სიგიზმუნდ ლევანევსკიმ და ვიქტორ ლევჩენკომ ჩასწერეს თავიანთი სახელები კაცობრიობის ისტორიის წიგნში, ჰაერის დაპყრობის ისტორიის წიგნში.

ჩვენი მამაცი მფრინავები იპყრობენ ჰაერს, ებრძვიან სტიქიონებს და იმარჯვებენ სტიქიონებზე. მაგრამ ჩვენ გვახსოვს: შეიძლება დადგეს ჟამი, როდესაც, სტიქიონთა ძალის გარდა, საბჭოთა მფრინავებს მოუხდებათ გადალახონ და დაამსხვრიონ ჩვენი სამშობლოს მტრების ძალა, ეჭვი არაა, საბჭოთა ავიაცია — მთელ სახელოვან წითელ არმიასთან ერთად—ბრწყინვალედ შეასრულებს ამ უაღრესად საპატიო ამოცანასაც — სოციალიზმის ქვეყნის დაცვას და მტრის განადგურებას მის ტერიტორიაზე.

ჩვენი მფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ იფრინონ და იფრინენ კიდეც ყველაზე შორს ყველაზე მაღლა და ყველაზე სწრაფად, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ მტერს. საიდანაც არ უნდა ცდილობდეს იგი თავს დაგვესხას, — დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან. ვაი მტერს, რომელიც გვაიძულებს ვიშიშვლოთ ხმალი ქარქაშიდან! ვაი მტერს, რომელიც აიძულებს ჩვენს სამშობლოს მოქმედებაში მოიყვანოს ათასობით საბრძოლო თვითმფრინავები!

ვაი მტერს! იგი დაინახავს და იგრძნობს, რომ საბჭოთა კავშირში როდია მარტო 11 გმირი, მამაცთა შორის უმამაცესნი, — ჩვენში 170 მილიონი გმირია. 170 მილიონი საბჭოთა პატრიოტი, რომელთა პირველ რიგებს წარმოადგენენ სიგიზმუნდ ლევანევსკიც, ვალერი ჩკალოვიც, ვასილ მოლოკოვიც ჩვენი საუცხოო შტურმანებიც — ბელიაკოვი, ლევჩენკო, ჩვენი სახელოვანი ტანკისტებიც და მეზღვაურებიც, ცხენოსნებიც და მსროლელებიც, ჩვენი გმირი მესაზღვრეებიც, სოციალისტური ქარხნებისა და მინდვრების სტახანოველებიც. ერთი სიტყვით, ყველა ის, ვის არსებაშიც ნერგავს სტალინი გმირულ თვისებებს: მიზნის გარკვეულობას, შეუპოვრობას მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის სიმტკიცეს, რაც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევს.

სტალინური ეპოქის ადამიანის ამ თვისებებით მთლიანად არიან დაჯილდოვებულნი სიგიზმუნდ ლევანევსკი და ვიქტორ ლევჩენკო—დიდი სტალინის ღირსეული აღზრდილნი. მათ, ჩვენი სამშობლოს მამაც შვილებს, მაგრად ართმევს ხელს სტალინი, რომლის სახელიც წმინდათა წმინდაა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის. მათ, როგორც თავის საყვარელ გმირებს, ქება-დიდებას უგალობს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა.

„პრავდის" მოწინავე. 14/IX.

იტალიის პრესის შეშფოთება

რომი, 13 სექტემბერი. ყველა გაზეთი გულდასმით ადევნებს თვალყურს ინგლისის პრესას, რომელიც აჯამებს ინგლისის მეფის ედუარდ VIII მოგზაურობას ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში. ეს მოგზაურობა, ისე როგორც მთელი რიგი სხვა ნიშნები, რომლებიც მოწმობენ, რომ მტკიცდება ინგლისის ურთიერთობა ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ ქვეყანასთან, კერძოდ თურქეთთანა და საბერძნეთთან, აქ აშკარა შეშფოთებას იწვევს. „ტრიბუნა" შეშფოთებით იძლევა კითხვას: „იქნებ კვლავ აღორძინდება ხმელთაშუაზღვის კავშირი იტალიის წინააღმდეგ?".

◇

რუმინეთ-სამხრეთ-სლავიის შეთანხმება

ვენა, 13 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის ოფიციალური საკორესპონდენტო ბიურო მოჰყავს რუმინეთის პრემიერის ტატარესკუს განმარტება სამხრეთ - სლავიის პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრ სტოიადინოვიჩის ბუქარესტში სადარბაზოდ ჩასვლის გამო. ტატარესკუს განცხადებით ბუქარესტში სტოიადინოვიჩის ყოფნის შედეგად რუმინეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის დადებულია შეთანხმება, რომელმაც, ბიუროს გადმოცემით, უნდა უზრუნველყოს სამხრეთ-სლავიის არმიის, ავიაციისა და ფლოტის მომარაგება რუმინეთის ნავთის პროდუქტებით შემდეგ ბიურო იუწყება, რომ ამავე დროს დაიდო შეთანხმებანი, რომ უზრუნველყოფილ იქნას რუმინეთის არმია სამხრეთ - სლავიის ნედლეულით, სახელდობრ სპილენძით (საქდს).

◇

იტალიის ღონისძიებანი აბისინიაში

რომი, 13 სექტემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ მრეწველობის ხელმძღვანელობის სამმართველო, რომელიც აბისინიის ომის დროს შეიქმნა და რომელსაც სამხედრო მნიშვნელობა აქვს, კვლავ რჩება. ეს სამმართველო კონტროლს უწევს ათასზე მეტ საწარმოს.

გამოქვეყნდა ბრძანება, რომლის თანახმადაც იტალიის იმ მუშებისაგან, რომლებიც აღმოსავლეთ აფრიკაში იმყოფებიან, უნდა შესდგეს ფაშისტური მილიციის ნაწილები. მათ მიკუთვნებული აქვთ განსაკუთრებული ფორმა და მიეცემათ იარაღი. მათი რიცხვი აფრიკაში 150 ათას კაცამდე იქნება აყვანილი (საქდს).

◇

უცხოეთის ქრონიკა

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი პოლ ბასტიდი ვარშავას ჩავიდა.

ვენაში მყოფი ინგლისის მეფე ედუარდ VIII ეწვია ავსტრიის პრეზიდენტს მიკლასს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. საუბარს დაესწრო შუშნიგი.

საუთჰემპტონიდან (ინგლისი) პალესტინას გაემგზავრა სამხედრო ტრანსპორტი „დორსეტშირი" 2 ათასეული ჯარით.

ხაიფის (პალესტინა) აღმოსავლეთით 6 კილომეტრზე არაბთა დიდ რაზმთან შეტაკების დროს მოჰკლეს ინგლისელი ჯარისკაცი. ინგლისის პოლიციის რაზმმა 5 არაბი მოჰკლა.

გერმანიის სამხედრო ნაღმოსნები „ვოლფი" და „იაგუარი" ბილბაოში დაბრუნდნენ.

ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხანი ფაიზ მუხამედ-ხანი მოსკოვიდან ჟენევას გაემგზავრა.

ამერიკის სამხედრო-საზღვაო სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა ესპანეთის წყლებში მყოფმა ამერიკელმა სამხედრო გემებმა დატოვონ ესპანეთი და თავი შეაფარონ უახლოეს ნეიტრალურ ნავსადგურებს.

პოლიციელთა თავდასხმა „ინტურისტის" სააგენტოზე ტოკიოში

ტოკიო, 13 სექტემბერი. გუშინ დილის დაახლოვებით 11 საათზე „ინტურისტის" ტოკიოს სააგენტოს სადგომში გამოცხადდა სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი 10 პოლიციელი, რომლებიც სატვირთო მანქანით მოვიდნენ. პოლიციელებმა „ინტურისტის" აგენტს იარიკოვს წარუდგინეს ორდერი, რათა მოეხდინათ კონფისკაცია ბროშურა პროსპექტისა—„მეტროსი", რომელიც საგარეო ვაჭრობის გამომცემლობის მიერ არის გამოშვებული მოსკოვში ინგლისურ ენაზე. პოლიციელებმა გულმოდგინედ გაჩხრიკეს „ინტურისტის" სადგომი, თან წაიღეს ყველა იმ ტურისტული პროსპექტის თითო ეგზემპლარი, რომლებიც სსრ კავშირის ღირსშესანიშნავ ადგილებს აგვიწერენ და გამოუცხადეს იარიკოვს, რომ ამიერიდან საბჭოთა ინტურისტული სარეკლამო პროსპექტების გავრცელება იაპონიაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ პოლიციის წინასწარი ცენზურის შემდეგ, ხოლო იმ პროსპექტების გავრცელება, რომლებსაც იაპონიაში „ინტურისტი" გამოსცემს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი ცენზურას შემდეგ. „ინტურისტის" სადგომში აღმოჩნდა პროსპექტ „მეტროს" მხოლოდ ერთი ეგზემპლარი. პროსპექტის დაახლოვებით 200 ცალი „ინტურისტმა" დაუგზავნა სასტუმროებს და იაპონიის მთავრობის ტურისტული ბიუროს განყოფილებებს. პროსპექტ „მეტროს" კონფისკაციის შესახებ ორდერი გაცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და დათარიღებულია 12 სექტემბრით.

როდესაც „ინტურისტის" სადგომში გამოცხადდა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის რწმუნებული სსრ კავშირის გენერალური კონსული ტოკიოში ამხ. დეიჩმანი პოლიციელთა თავდასხმის მიზეზების გამოსარკვევად. პოლიციის უფროსმა ინსპექტორმა სირაიმ ამხ. დეიჩმანს განუცხადა, რომ პროსპექტის მე-7 და მე-24 გვერდზე არის „საგანგაშო და იაპონიის შეურაცხმყოფელი ადგილები" როცა ამხ. დეიჩმანმა მოითხოვა საქმე ზუსტად განემარტათ, სირაიმ სთქვა: ამ გვერდებზე გატარებულია აზრი, რომ „მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიძლება აშენდეს ისეთი მეტრო, როგორიც მოსკოვის მეტროაო". „ინტურისტის" შენობაში სამი საათის ყოფნის შემდეგ პოლიციელები გაემგზავრნენ სატვირთო მანქანით და განაცხადეს, რომ მიდიან სასტუმროებში, რათა იქ კონფისკაცია უყონ მეტროს ეგზემპლარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის გამოცემანი, იაპონიის კანონების თანახმად, მუდამ უნდა ისინჯებოდეს საბაჟოში იაპონიის სათანადო ორგანოების მიერ. იაპონიის საბაჟოში გატარებულ ამ პროსპექტებს ინტურისტის ტოკიოს სააგენტო გზავნის ხოლმე იაპონიის მთავრობის ტურისტულ ბიუროსთან ურთიერთობის 10 წლის პრაქტიკას საფუძველზე, ამასთან იაპონიის ტურისტული ბიუროს გამოცემანი ეგზავნება „ინტურისტის" განყოფილებებს საბჭოთა კავშირში.

სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ როგორც კი მიიღო ცნობები „ინტურისტზე" პოლიციელთა თავდასხმის შესახებ, ამის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ განუცხადა ენერგიული პროტესტი საგარეო საქმეთა სამინისტროს (საქდს).

მადრიდის მუშათა მილიციის ახალგაზრდა მებრძოლთა ჯგუფი ფრონტზე გამგზავრების წინ.

ამხ. მიხეს მოხსენება მადრიდის კომუნისტთა კრებაზე

მადრიდი, 12 სექტემბერი. ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი მიხე მადრიდის კომუნისტთა საერთო კრებაზე გამოვიდა მოხსენებით პოლიტიკური მდგომარეობისა და კომპარტიის ამოცანების შესახებ. მიხემ აღნიშნა, რომ კომპარტია მოელოდა სამხედრო ფაშისტურ ამბოხებას, რომ იგი ყოველდღე აძლევდა გაფრთხილებას ამ ამბოხების მზადების შესახებ და წარადგენდა ხოლმე ამის დამამტკიცებელ სულ ახალ და ახალ საბუთებს. ამჟამად პარტიას საჭიროდ მიაჩნია კვლავ ჩამოაყალიბოს თავისი პოლიტიკური ხაზი დემოკრატიული რევოლუციის საკითხში, რათა „სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ზოგიერთ მომემარცხენო იდეას რომელსაც წინათ შეეძლო შეექმნა საფრთხე რევოლუციის განვითარებისათვის, ხოლო ახლა შეუძლია მძიმე ლახვარი ჩასცეს შეიარაღებული ხალხის გმირულ ძლევამოსილ ბრძოლას სამხედრო-ფაშისტური ბანდების წინააღმდეგ".

შემდეგ მიხემ მოაგონა დამსწრეთ თუ რა კონკრეტულ შინაარსს აძლევდა კომპარტია დემოკრატიული რევოლუციის ცნებას: 1) იმ ნახევრადფეოდალური ძალების მატერიალური ბაზის მოსპობა, რომლებიც გლეხებსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს სძარცვავდნენ; პარტია ცდილობდა ამ ამოცანის გარშემო გაეერთიანებინა მთელი მშრომელი ხალხი და დემოკრატიის მთელი ძალები; 2) მსხვილი მემამულეებისა და ფაშისტ ბურჟუების კუთვნილი მიწების გადაცემა გლეხებისათვის აუცილებელი ინვენტარით და საჭირო კრედიტების მიცემით; 3) არმიის დემოკრატიზაცია; 4) სამუშაოს და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მთელი მშრომელი ხალხისათვის

ამბებმა,—აღნიშნა მიხემ,—ცხადჰყო პარტიის სიმართლე იმათთვისაც კი, ვინც „არ ითვალისწინებდა რა მომენტის თავისებურებას, ლაყბობდა პროლეტარულ რევოლუციაზე". შემდეგ მიხემ განაცხადა, რომ კომპარტიამ უნდა გამოიყენოს მასებზე მთელი თავისი გავლენა და ხელი შეუშალოს იმას, რომ „მომემარცხენო მოქმედებამ, რომელიც ნაკარნახევია სიტყვიერი ულტრა-რევოლუციურობით, ყალბი გზით წარმართოს მთელი ბრძოლა რესპუბლიკისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ".

დაახასიათა რა პარტიის ბრძოლა სახალხო ფრონტისათვის და მისი დამოკიდებულება მემარცხენე რესპუბლიკური მთავრობებისადმი, რომლებიც 16 თებერვლის შემდეგ არსებობდნენ, მიხემ განაცხადა, რომ 19 ივლისის ამბები (სამხედრო ფაშისტური ამბოხება) მოასწავებდნენ ყველა იმ დაწესებულების მარცხს, რომლებიც სამხედრო და საეკლესიო ზედაფენების, აგრეთვე მსხვილი მემამულეებისა და ბანკირების ინტერესებსა და პრივილეგიებს წარმოადგენდნენ. ამჟამად მიმდინარეობს სახალხო დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნის პროცესი. პირველ რიგში დგას სახალხო არმიის შექმნის საკითხი. კომპარტია იბრძვის ასეთი არმიის შექმნისათვის, „სახალხო მილიციის ათასეულთა სამხედრო-ტექნიკური სრულყოფისათვის". ამ მილიციამ ცხადჰყო, რომ მას შეუძლია დაამარცხოს ფაშისტთა გენერლები და მათი უცხოელი მოკავშირეებიც კი, რომ იგი წარმოადგენს სახალხო არმიის—დემოკრატიული რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების ამ ნამდვილი გარანტიის საფუძველს.

კომპარტია აგრეთვე იბრძვის იმისათვის, რომ გაიწმინდოს სახელმწიფო აპარატი ბიუროკრატიზმისაგან, რომელიც საბოტაჟს უწევს ხალხის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, კომპარტია იბრძვის იმისათვის, რომ მოხდეს მრეწველობის მობილიზაცია ანტიფაშისტური ბრძოლის საჭიროებისათვის, პროდუქციის გაორკეცებისათვის.

მიხე აღნიშნავს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ილუზიებს მტრის სწრაფად და ადვილად დამარცხების შესახებ, ვინაიდან ახლა ნათელია, რომ „საქმე გვაქვს სამოქალაქო ომთან, სამკვდრო-სასიცოცხლო ომთან ფაშიზმის წინააღმდეგ".

შემდეგ ორატორმა აღნიშნა საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობა ესპანეთის ხალხთან და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირში მთელი ხალხი, ესპანეთის ანტიფაშისტთა მხარეზეა.

შემდეგ მიხე შეჩერდა საკითხზე—თუ რატომ მიიჩნია კომპარტიამ საჭიროდ მონაწილეობის მიღება მთავრობაში, რომელსაც კაბალიერო მეთაურობს. ჯერერთი—აღნიშნა მიხემ, ხალხის მტრების მიერ [illegible] გამოწვეული სამოქალაქო ომი მოითხოვს ყველა ძალას გაერთიანებას ფაშიზმის დასამარცხებლად. მეორე — პროლეტარიატი, რომელიც ანტიფაშისტური ბრძოლის მთავარ და ყველაზე აქტიურ ძალას წარმოადგენს, იბრძვის პირველ რიგებში იარაღით ხელში. მესამე—ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში, განსაკუთრებით სოფლად, ხდება უდიდესი ცვლილებანი; სამოქალაქო ომთან პირდაპირ კავშირში ხორციელდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი ამოცანები.

მთავრობაში შესვლისას პარტია თავის ამოცანად ისახავს მიაღწიოს:

1) სრულ და საბოლოო გამარჯვებას სამხედრო-ფაშისტურ ამბოხებაზე; 2) ყოველგვარი მონარქისტული და ფაშისტური ელემენტისაგან მთლიანად გაწმენდილი სახალხო არმიის შექმნას; 3) მიწის საკითხის გადაჭრას გლეხებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა სასარგებლოდ. „ამ მემამულეთა მიწა, რომლებიც მხარს უჭერენ სამხედრო ფაშისტურ ამბოხებას,—განაცხადა მიხემ,—გადავა გლეხთა და სასოფლო სამეურნეო მუშათა მილიონების ხელში და ამით ბოლო მოეღება შიმშილსა და სიღატაკის სოფლად"; 4) ეკლესიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ლიკვიდაციას, რაც რასაკვირველია, ოდნავადაც არ შებღალავს კულტის თავისუფლებას და პატივისცემას ამა თუ იმ რელიგიური რწმენისადმი; 5) მშრომელთა საარსებო დონის საერთო გაუმჯობესებას, ხელფასის მინიმუმის დაწესებას, ისეთი სამუშაო დღის შემოღებას, რომელიც არ მოქანცავს მუშის ფიზიკურ ძალებს; 6) სრულუფლებიანობის მინიჭებას კატალონიისა, გალისიისა და ბასკთა პროვინციებისათვის და მაროკოს სტატუტის დემოკრატიზაციას; 7) ბრძოლას მშვიდობიანობისათვის მთავრობის საგარეო პოლიტიკაში.

თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილში მიხე ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი ამოცანებია დასახული კომუნისტური პარტიის წევრთა წინაშე, რომლებიც უნდა იყვნენ დაუღალავი მებრძოლნი დისციპლინის განმტკიცებისათვის, შეიარაღებულ ძალთა ერთიანი სარდლობის შექმნისათვის (საქდს).

ი. რუხაძე 1

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის ინსტრუქტორი პარტიული პროპაგანდის დარგში.

პარტიული სწავლება ტფილისის პარტორგანიზაციაში

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციას უკანასკნელ წლებში, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი საუკეთესო წინამძღოლის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვანი წარმატებანი აქვს კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში.

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლის გახსნა, პროპაგანდისტთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლებისა და კურსების მოწყობა, მაღალკვალიფიციური მოხსენებებისა და კონსულტაციების ჩატარება უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების და პროპაგანდისტური მუშაობის მეთოდიკის შესახებ — ყოველივე ეს წარმოადგენდა სერიოზულ ნაბიჯს ტფილისის ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

ამხ. ბერიას ბრწყინვალე მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელიც უძვირფასეს საუნჯეს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, საგრძნობლად გამოაცოცხლა კომუნისტთა ინტერესი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისადმი და უმაღლეს საფეხურზე დააყენა პოლიტსწავლების დონე.

ტფილისის ორგანიზაციას მიღწევები აქვს პოლიტსწავლების დარგშიაც.

პოლიტსწავლების შემდგომ გაუმჯობესებას ხელი შეუწყო პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ.

მაგრამ მთელი რიგი პოლიტსკოლების მიერ ზაფხულის თვეებში (ივნისი, ივლისი) წარმოებული მუშაობის შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ეს მუშაობა ბოლო ხანებში გაუარესდა.

იმის გამო, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა რამდენადმე შეანელეს ყურადღება მსმენელთა დასწრებისადმი, გამოვლინებულია ისეთი პოლიტწრეები, რომლებშიაც მსმენელთა დასწრების საქმე ძალიან ცუდად არის. ასეთი სკოლების რიცხვს ეკუთვნის სარეწაო კავშირის, „მქერავთა გასაღების", „შეერთებული ძალის", სპეცმშენის გარაჟის, საჭმარაგებსაღების პოლიტსკოლები, ლენინის რაიონის ჯგუფური სკოლა და სხვ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ უმთავრესად მეცადინეობას არ ესწრებიან ის კომუნისტები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებიდან არიან მიმაგრებული ჯგუფურ სკოლებზე.

პარტკომების მდივნები და პარტორგები სამართლიანად სჩივიან, რომ სათანადო პირველადი პარტორგანიზაციები არავითარ ზომებს არ ღებულობენ ამ ამხანაგების წინააღმდეგ.

პროპაგანდისტთა მომზადების დონე და მათი მუშაობის ხარისხი საერთოდ ტფილისის ორგანიზაციაში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ბევრი პროპაგანდისტები როდი აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ უყენებენ.

ზოგიერთი რაიკომი (მაგ. კიროვის რაიკომი) არღვევს ტფილისის კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ახალი პროპაგანდისტის დამტკიცება მოხდეს საცდელი მეცადინეობის შემდეგ კომისიის თანდასწრებით (რაიკომის მეორე მდივანი, კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე და პარტკომის მდივანი). არის ცალკეული შემთხვევები, როცა პროპაგანდისტის მაგიერობას იწევს მსმენელი ისე რომ ეს არ არის შეთანხმებული რაიკომის ბიუროსთან. მაგალითად, „შეერთებული ძალის" ჯგუფურ სკოლაში ახალი კონსტიტუციის პროექტი განმარტა მსმენელმა ამხ. მელაძემ, რომელიც მასში თვითონაც ვერ ერკვევა ხეირიანად.

ტფილისის საბჭოში, ამხ. კილურაძის ნაცვლად, მეცადინეობას ატარებდა მსმენელი ამხ. კერესელიძე; სტალინის სახელობის რაისაბჭოში 7 აგვისტოს ამხ. ხუროძის ნაცვლად მეცადინეობა ჩაატარა ამხ. ბაკურაძემ და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის პარტიული ქსელი გადავიდა ლექციური მეთოდიდან გაშლილი საუბრის მეთოდზე, მაგრამ დღემდეც მოიპოვებიან ისეთი პროპაგანდისტები, რომლებმაც ვერ შეიგნეს ცოცხალი საუბრის დიდი აზრი და ხშირად ამახინჯებენ მას.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ პროპაგანდისტს ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ლექციებზე. ამასთან ამ ლექციებს კითხულობენ მშრალად, ტრაფარეტულად და მსმენელთათვის გაუგებრად. ასე, მაგალითად, ამხ. ქვარცხავა (გარაჟი № 2) ლექციებს 40-50 წუთის განმავლობაში კითხულობს; ამხ. ნ. გვაზავა (ჯამის სახელობის ქარხანა) და ამხ. ძოძუაშვილი (სპილენძის სტკიცი ქარხანა) მეცადინეობას მხოლოდმხოლოდ ლექციური მეთოდით ატარებენ. ასეთი მაგალითები ცოტა არაა.

მთელ რიგ შემთხვევებში ცოცხალი საუბრის ნაცვლად იყენებენ სქემატიური, დაზეპირებული კითხვა-პასუხის მეთოდს. მაგალითად, № 1 სტამბის სკოლაში ალხაზიშვილი (პროპაგანდისტ ამხ. ასამბაძის შემცვლელი, ეს ნაკლი ასამბაძესაც ახასიათებს) იძლევა კითხვას: „როგორი მდგომარეობა იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ?" მსმენელი დოლმელაშვილი უპასუხებს: „რევოლუციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ დანგრეული სახელმწიფო". არ განუმარტავს რა დაწვრილებით ეს საკითხი. ალხაზიშვილი აძლევს კითხვას მუშათა კონტროლის და ნაციონალიზაციის შესახებ, რაზედაც მსმენელებმა ვერ უპასუხეს.

პროპაგანდისტი გრიცენკო (კიროვის რაიონის ჯგუფური სკოლა) მსმენელთა ყურადღებას ასეთ კითხვებზე აჩერებდა: (რამდენი ათასი მუშა ღებულობდა მონაწილეობას გაფიცვებში მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში?" მსმენელები გატაცებით სინჯავდნენ თავიანთ ჩანაწერებს, ფურცლავდნენ წიგნებს და როცა საჭირო ციფრს იპოვიდნენ. ყველანი ერთად წამოიძახებდნენ მას.

ზოგიერთი პროპაგანდისტი (მართალია, ერთეულ შემთხვევებში) იყენებს წიგნების კითხვას სახელმძღვანელოთი, ამასთან გზადაგზა იძლევა ცალკეული საკითხების განმარტებას. ასეთ მეთოდს იყენებდა, მაგალითად, ამხ. გერშოვი (ლიტოგრაფიის სკოლა), ამხ. გიგაური (კიროვის რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის პროპაგანდისტი), რომელიც თვით მსმენელებსაც აკითხებდა წიგნებს.

სრულიად არ ეხებიან ან ძალიან ნაკლებად ეხებიან საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი ზოგიერთი სკოლა, მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა და საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის დირექტივებისა, კმაყოფილდება მხოლოდ კნორინის სახელმძღვანელოს მასალებით. არ იყენებენ არც ლენინისა და სტალინის, არც „სამოქალაქო ომის ისტორიის" პირველ ტომს.

მაგალითად, სტალინის სახელობის რაისაბჭოს სკოლის მსმენელებმა განაცხადეს, რომ პროპაგანდისტს მათთვის არასოდეს არ მიუცია მითითებანი ამ საკითხზე. ამხ. ხომასურიძის სკოლის (ქიმკომბინატი) და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობის მსმენელებს არც კი უნახავთ „სამოქალაქო ომის ისტორიის" წიგნი.

ძალიან ცოტას სარგებლობენ მხატვრული ლიტერატურით. მთელ რიგ პარტსკოლებში მსმენელთა ცოდნის შემოწმებამ დაგვანახვა, რომ გავლილი მასალის ათვისების ხარისხი ზაფხულის თვეებში რამდენადმე შემცირდა.

ტრამვაის სახელოსნოების სკოლის ვერც ერთმა მსმენელმა ვერ შესძლო პასუხი გაეცა კითხვაზე: „რითი აიხსნება, რომ შედეგად თებერვლის რევოლუციისა, რომელიც მოახდინა მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად, ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა".

ამ სკოლის მსმენელებს ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დედაარსი.

მაგალითად, ამხ. ჩაფიძის (ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოდან) თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიულ რევოლუციად მიაჩნია და ასეთ განმარტებას აძლევს: რევოლუცია ბურჟუაზიული იმიტომ არის, რომ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში გადავიდაო.

ამხ. ჩიკვაძე ამბობს, რომ თებერვლის რევოლუცია მოახდინა ბურჟუაზიამ, ხოლო როცა მუშებმა და გლეხებმა დაინახეს, რომ ბურჟუაზია არ ასრულებს მათ მოთხოვნებს, დაიწყეს ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგო.

ამხ. ლითანიშვილის ფიქრით, თებერვლის რევოლუციაში გლეხებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

ამხ. შახბუდაგოვს („26" სახელობის რაისაბჭო) არავითარი წარმოდგენა არა აქვს პრაღის კონფერენციაზე, „ოტზოვისტებზე" და „ულტიმატისტებზე".

ამხ. ნადარეიშვილმა (საჰკინმრეწვი) ვერ შესძლო ხეირიანად განემარტა კამენევისა და ზინოვიევის გამცემლური როლი ოქტომბრის დღეებში, არ იცნობს 1905 წლის მოსკოვის ცნობილ შეიარაღებულ აჯანყებას.

ამხ. გეგელი (საჰკინმრეწვი) და ამხ. კერძაძე (ლენინის ქარხანა №2) დიდხანს არ ეთანხმებოდნენ იმას, რომ II ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის წესდების 1 პარაგრაფის ფორმულირება მარტოვის რედაქციით. იგივე ამხანაგები ცუდად ერკვევიან 1905 წლის რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა, პრაღის კონფერენციისა და სხვ. საკითხებში.

სპეცმშენის გარაჟის მსმენელებმა ვერ შესძლეს პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე: ორძალაუფლებიანობის რაობა, კამენევის, ზინოვიევის და ტროცკის პოზიცია ამ პერიოდში.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ სკოლების პროპაგანდისტები არ ახდენენ თავიანთი მსმენელების დიფერენციაციას და მთელ რიგ შემთხვევებში, იყენებენ რა პარტიის მიერ დაგმობილ ლექციურ მეთოდს ან მშრალი კითხვა-პასუხის მეთოდს, არ არკვევენ, თუ რამდენად შეითვისეს მსმენელებმა გავლილი მასალა.

ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტკომების მდივნებმა და პროპაგანდისტებმა.

ზოგიერთ მსმენელს დაჰვიწყებია ცალკეული მომენტები ამხ. ბერიას მოხსენებიდან. ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლას საკმაოდ არ აკავშირებენ ამხ. ბერიას მოხსენებასთან.

განსაკუთრებით გამოვყოფთ საკითხს მსმენელების მიერ ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის — სტალინური კონსტიტუციის პროექტის შესწავლაზე, ვინაიდან მთელ რიგ სკოლებში ამ საკითხის შესწავლა, სამწუხაროდ, არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთი პროპაგანდისტი ნაკლებად შეეხო კონსტიტუციის თეორიულ საკითხებს ანდა ვერ მისცა ამ საკითხების ხეირიანი განმარტება. ზოგიერთი მსმენელი ამჟღავნებს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ელემენტარულ დებულებათა უცოდინარობას.

მაგალითად № 1 პურის ქარხნის სკოლის მსმენელები ამხ. მხითაროვი, კობახიძე, ჯაფარიძე ამტკიცებენ, რომ უზენაეს საბჭოს აირჩევს საბჭოების ყრილობა. ამავე ამხანაგებმა არაფერი იციან უზენაესი საბჭოს პალატებზე, მათს უფლებებზე და სხვა.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის უცოდინარობა გამოიჩინეს რაიონული საბჭოების (სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, „26" სახელობის) ზოგიერთმა მუშაკმა.

მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჩიკვაძემ, რომელმაც, მისი განცხადებით, არაორგანიზებული მოსახლეობის მთელ რიგ კრებებზე „დაამუშავა" კონსტიტუციის პროექტი, გამოიჩინა კონსტიტუციის უცოდინარობა. ალბათ, ამ კრებებზე იგი პროექტს პირდაპირ კითხულობდა.

ამხ. ჩაფიძემ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მან კარგად შეისწავლა ახალი კონსტიტუციის პროექტი, მხოლოდ საუბრის დროს გაიგო, რომ უზენაესი საბჭო ეროვნებათა საბჭოს პალატისაგან განცალკევებით კი არ არსებობს, არამედ უზენაესი საბჭო შეიცავს ორივე პალატას. იმავე ამხანაგმა არ იცოდა ამ პალატების არჩევნების წესი.

სტალინის სახელობის რაისაბჭოს სკოლის ვერცერთმა მსმენელმა ვერ შესძლო პასუხის სწორად გაცემა საბჭოთა კონსტიტუციიდან მიცემულ კითხვებზე.

შეკითხვაზე — საჭიროა თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, როცა ანტაგონისტური კლასები არ არსებობენ, ამხ. კაკაბაძემ (სტალინის სახელობის რაისაბჭოს სკოლა) უპასუხა: „იგი საჭიროა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური მსოფლიოთი".

ამხ. ლითანიშვილმა (ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭო) ისიც კი არ იცის, თუ რანაირად ხდება არჩევნები ძველი კონსტიტუციით. მან სთქვა, რომ კრებებზე არჩეულ დეპუტატებს ამტკიცებს პარტიის რაიკომი, პროფკავშირი, რაისაბჭო, ხოლო შემდეგ ტფილისის საბჭოო.

მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმისათვის, რათა ითქვას, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მთელი რიგი სკოლების მსმენელებს ცუდად აქვთ შეთვისებული და რომ ეს პროექტი ჯერ კიდევ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, ამასთან უნდა განიმარტოს ყველა უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხი.

პარტიის ტფილისის კომიტეტის ბიურომ, შემოწმების მასალების საფუძველზე განიხილა რა სკოლების მუშაობის რამდენიმე შესუსტების მიზეზები, დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ პოლიტწრეების მუშაობაში არსებული დეფექტების გამოსწორება პარტკომების მდივნებისა და პარტორგების პასუხისმგებლობის გაძლიერება პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების საქმეში და პარტიული განათლების შემდგომი გაუმჯობესება ტფილისის ორგანიზაციაში.

◆

კოლმეურნეობა სტახანოვური მაჩვენებლებით

იგი უბრალო ადამიანია, მას არ უყვარს ზედმეტი სიტყვები, საქმისათვის თავდადებულია, გული შესტკივა საერთო საქმისათვის, ერთ წუთსაც ვერ ნახავთ გაჩერებულს: ხან მსხვილფეხა საქონლისა და მეცხვარეობის ფერმაშია, ხან მოსავლის აღებაზე მუშაობს; დროგამოშვებით კი თავის ოთახში ზის, საკუთარ თავზე მუშაობს, მეცადინეობს.

მართლაც რომ საამაყო ადამიანია ამხ. ფ. კიკილაშვილი. ყოფილი მოჯამაგირე, წინათ მცირე მცოდნე, ახლა საკმაოდ კვალიფიციური და გათვითცნობიერებული, იგი ერთერთ ძლიერ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობას „წითელ არბოშიკმა" (სიღნაღის რაიონი) არამც თუ რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც კი გაითქვა სახელი.

ვისაც არ უნდა შეეკითხოთ სიღნაღში, რომელი კოლმეურნეობაა ყველაზე უფრო ძლიერიო,—უმალ გიპასუხებენ — „წითელი არბოშიკი". ვინ მიიღო მეტი მოსავალი?— „წითელმა არბოშიკმა". რომელ კოლმეურნეობაშია მეტი სტახანოველები? — „წითელ არბოშიკში". ეს ავტორიტეტი თავისთავად როდი მოიპოვა „წითელმა არბოშიკმა". ამისათვის თავდადებულად მუშაობდა კომუნისტი ორდენოსანი ამხ. კიკილაშვილი.

კრემლში საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს ამხ. ფ. კიკილაშვილმა სიტყვა მისცა ხალხთა საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს, რომ ბოლშევიკურად იბრძოლებდა კოლმეურნეობის განმტკიცებისთვის, განსაკუთრებით მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

— ჯერ კრემლიდან არც კი ვიყავი გამოსული, ვფიქრობდი, როგორ შემესრულებინა საყვარელი ბელადისთვის მიცემული პირობა, მაგრამ საკუთარი თავის იმედი მქონდა, რომ სიტყვას საქმედ ვაქცევდი და გამარჯვებას სასწრაფოდ მივაღწევდი, — მითხრა ამხ. ფ. კიკილაშვილმა კერძო საუბრის დროს. — საქმე წინ წავიყვანე; პირველ რიგში შევეცადე კოლმეურნეობაში განმემტკიცებინა დისციპლინა, მომეწესრიგებინა შრომა. განსაკუთრებული ზრუნვა გამოვიჩინე ადამიანებისადმი, რადგან თუ კოლმეურნეებს პირობას არ შევუქმნიდი მუშაობისათვის, საქმე დაბრკოლდებოდა. ყველაფერი მოვაგვარე, ახლა გამარჯვებულთა რიგებში ვარ, — აღტაცებით ლაპარაკობს ამხ. კიკილაშვილი.

კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" თვითეული წევრი ამაყობს იმით, რომ მეცხოველეობის დარგში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. თვალის ჩინივით უვლიან 16.636 სულ ცხვარს. ფერმას ხელმძღვანელობს ენერგიული, ამ საქმის მცოდნე ადამიანი — ორდენოსანი ლადო ბალაშვილი.

ამხ. კიკილაშვილმა აღუთქვა დიდ ბელადს, 1937 წლის პირველი იანვრისათვის შევინარჩუნებ 6.000 სულ ბატკანსო. ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებს. ამჟამად შენარჩუნებულია 6.347 ბატკანი. ყველა ჯანსაღად არის. აქ ყველა პირობა აქვთ 1937 წლის დამდეგისათვის ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

კოლმეურნეობამ სასახელოდ შეასრულა სახელმწიფო ვალდებულება, და უკვე ჩააბარა შემოდგომის მატყლი. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ სახელმწიფოს გეგმაზე ზევით მიჰყიდონ 15 ტონა საუკეთესო ხარისხის მატყლი. მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სახელმწიფოს ჩააბარეს 1102 კილოგრამი ყველი, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

წელს იალაღებზე ცხვარი ორგანიზებულად წაიყვანეს. გზაში ცხვრის დანაკლისი არ ყოფილა. მთაში პირველა „წითელი არბოშიკის" ცხვარი ავიდა. ცხვარმა იმატა წონაშიც. დედაცხვარი საშუალოდ 45-50 კილოგრამს იწონის, ხოლო ბატკანი 30-34 კილოგრამს.

მწყემსებიც დაუღალავად მუშაობენ. ცხვრის მოვლა - პატრონობაში დახელოვნებულმა სტახანოველმა მწყემსებმა: ო. ბატიაშვილმა, ვ. სეფიაშვილმა, ვ. ნანობაშვილმა, ი. სეხნიაშვილმა ენერგია არ დაიშურეს ამხ. კიკილიშვილის მიერ დიდი ბელადისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად; ისინი გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ.

კოლმეურნეობის გამგეობა სტახანოველებს ყოველმხრივ უწყობს ხელს მუშაობაში. ისინი იალაღებზე უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, საჭირო ინვენტარით, ჰყავთ სპეციალური კაცი კულტმომსახურებისათვის. მთაში განიხილეს სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მწყემსებმა დიდათ მოიწონეს.

წითელ არბოშიკელები სტახანოვური მოძრაობის წლისთავს შეხვდნენ შრომის ნაყოფიერების ახალი რეკორდებით „რომელთა მიცემა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია".

მ. თევზაძე

◆ ◆ ◆

ლენინის მუზეუმის დასათვალიერებლად

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყოველი კუთხიდან მიდის ექსკურსიები მოსკოვს ლენინის ცენტრალური მუზეუმის დასათვალიერებლად. აქ ნათლად არის წარმოდგენილი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მომენტი. საქ. ალკკ ც.კ-ის დადგენილებით, ექსკურსიაზე სოფლის საუკეთესო პროპაგანდისტების გასაგზავნად საქართველოს კომკავშირის ც.კ-ს დათმობილი აქვს 15 ადგილი. 11 სექტემბერს საქართველოს კომკავშირის ც.კ-ის შენობაში თავი მოიყარეს პროპაგანდისტებმა. აქ არიან პროპაგანდისტები გორიდან, იმ ისტორიული ადგილიდან, სადაც დაიბადა მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი, ჩვენი მასწავლებელი ამხ. სტალინი; აჭარიდან, სადაც რევოლუციური ცეცხლი დაანთო ამხ. სტალინმა. აქედან წარგზავნილი პროპაგანდისტების საუბარს მუზეუმში დიდი ინტერესით მოისმენენ.

საქ. კომკავშირის ც.კ-ის დავალებით პროპაგანდისტებს ინსტრუქტაჟი გაუწია ამხ. კ. შენგელიამ. ექსკურსიის ხელმძღვანელმა, კომკავშირის ც.კ-ის რაიკომების სექტორის გამგემ ამხ. ხარიტონ ზაქარაიამ წაიკითხა ექსკურსიის მონაწილეთა სია. სოხუმიდან ექსკურსიაზე მიდის იზმაილ ხურანოვი. გუდაუთიდან — თედორე გოჩუა, ბათომიდან—ახმედ წითლიძე, სიღნაღიდან — ვლადიმერ პოჭუა და არჩილ მენთეშაშვილი, სტალინირიდან—საველ ჯაბიევი, გორიდან — სულიკო ქებაძე და ნიკოლოზ სამნიშვილი, ლაგოდეხიდან — ქეთო ზურაბიშვილი, მახარაძიდან — კიტა კვაშალი, ხაშურიდან — ივანე ნოზაძე, ახალციხიდან —ომარ თაიროვი, ბორჩალოდან — ჯალილ ალიევი და ზუგდიდიდან—შალვა ხუპენია. ამხ. ზაქარაიამ სიტყვა მისცა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ბრწყინვალედ ჩაატარებს ექსკურსიას. ექსკურსანტები გაემგზავრნენ მოსკოვს.

საქ. ალკკ ც. კ-ში ამხ. კ. შენგელია ესაუბრება სოფლის საუკეთესო პროპაგანდისტებს ლენინის ცენტრალური მუზეუმის დასათვალიერებლად მოსკოვს გამგზავრების წინ.

ფოტო ა. კოფოვეტა

ისევ განსახკომის გერებზე

ამას წინათ (იხ. „კომუნისტი", 2 აგვისტო, № 177) რედაქციამ განსახკომის მასობრივი კულტურის განყოფილების ყურადღება მიაქცია კოლმეურნეთა მიერ წამოჭრილ საკითხებს. მაგრამ უკანასკნელმა ჯერჯერობით დუმილი არჩია. სდუმან აგრეთვე რაიაღმასკომები, სასოფლო საბჭოები, აბაშის რაიაღმასკომი სდუმს მაშინაც, როცა სოფლის საბჭო ქოლობნის სამკითხველოს იმ 50 მანეთსაც არ აძლევს, რაც სამკითხველოს ბიუჯეტშია გათვალისწინებული. როგორც ამის შესახებ ამხ. მარტინ ნინუა გვწერს, ამ სამკითხველოში არცერთი ახალი წიგნი არ იშოვება, ნაცვლად ამისა, აქ ნახავთ პოლიტიკურად მიუღებელ, ძველ, მტერდაცუხრილ წიგნებს. მაისის შემდეგ კედლის გაზეთი არ გამოსულა, სამკითხველოს შენობა გარეგნულად კარგია, მაგრამ წვიმის დროს აქ ქოლგით უნდა იჯდეს კაცი—დასძენს კორესპონდენტი.

ამხ. მინა ბუაძის სიტყვით, სოფ. ხონჭიორში (ამბროლაურის რაიონი) სამკითხველოს მხოლოდ წარწერით თუ გამოიცნობთ. კარ-ფანჯარა ჩალეწილია, შიგნით შეხვალ და ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დაჯდები. ან დაჯდომა რათ გინდა, როცა ძველის ძველი გაზეთების, უვარგისი ბროშურებისა და დახავსებული პლაკატების მეტს ვერაფერს ნახავთ. ამ სოფელში კლუბიც არის, სადაც წელიწადში ერთხელ უხეირო წარმოდგენას მართავენ.

როგორც ამხანაგი შ. მამფორია გვატყობინებს, კარგი აზრი მოსვლიათ სოფ. ახუთის (ჩხოროწყუს რაიონი) საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრებს (კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სვანიძე). მათ სკოლის სასარგებლოდ ფასიანი წარმოდგენების გამართვა განიზრახეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ პიესები ყოვლად მიუღებელი და მდარე აირჩიეს; სახელდახელოდ დაჯღაბნილი, პორნოგრაფიული „პიესები" მაყურებელში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. „მიხას ოჯახი", „ყოროფილი", „კარაპეტა" და სხვ. წვრილფეხა „მწერლების" მიერ შეთითხნილ „პიესებს" ხშირად სდგამენ ჩვენი სოფლის საკოლმეურნეო კლუბებში. დროა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციამ, რეპერტკომსაც არ აწყენს მიხედოს სოფელს და ასეთ საზიზღრობას ბოლო მოუღოს.

ამხ. პ. გაჩეჩილაძის თქმით, სოფ. წიფის (ჯელელის რაიონი) სამკითხველოს გამგე კოსტა პანკრატაძე შეთავსებით მუშაობს სოფლის საბჭოს აღმრიცხველად. ამ საქმეზე დარბის სოფლად, სამკითხველო კი გამოკეტილია. რა გასაკვირველია, რომ ასეთი სამკითხველოთი სოფლის მშრომლები უკმაყოფილო იქნებიან.

სოფ. ლეღვანში (ხარაგოულის რაიონი) სალამო-წარმოდგენები არ იმართება. იშვიათია კინოც. კოლმეურნეებმა გაზეთები გამოიწერეს, მაგრამ ვერ ღებულობენ. ისინი მოითხოვენ კულტურულ დასვენებას და გართობას, მაგრამ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ამას ყურადღებას არ აქცევენ — გვწერენ ამხ. შაქრო შარიქაძე და ვანო ჰიპაშვილი.

ამხ. ისაკ გოგაშვილი იწერება სოფ. აბაშენის (გურჯაანის რაიონი) სამკითხველოს ცუდ მუშაობაზე. ამ სამკითხველოს სავალალო მდგომარეობის შესახებ რაიონის გაზეთში ყოფილა წერილი, ერთი წერილი „ახალგაზრდა კომუნისტშიც" გამოაქვეყნეს მაგრამ გამოსწორებას არაფერი ეშველა. რაიონის განათლების განყოფილება ალბათ შეურიგდა თავის რაიონში სამკითხველოების და კლუბების უხეირო მუშაობას!

ტყიბული ქვანახშირის წარმოების მუშათა ქალაქია. უნდა გვეფიქრა, რომ აქ მაინც კარგად იქნებოდა დაყენებული საკლუბო მუშაობა, მაგრამ—როგორც ამხ. კირ. მესხი გვატყობინებს — „აქ ამისათვის თავს არავინ იწუხებს. წელს ერთი ხეირიანი სალამო-წარმოდგენა არ გამართულა. კლუბთან არ არის ჩამოყალიბებული დრამატული, ლიტერატურული და სხვა წრეებიო". კორესპონდენტი ჩივის, რომ ამ ზაფხულში კლუბის გამგემ ან. ჯოხანიამ თვითნებურად მიატოვა კლუბი, გასაღები თან წაიღო და კურორტებიდან წერილს იწერებოდა: „კლუბის ქონება არ დაიკარგოსო". ამის შემდეგ აქ რა მუშაობა უნდა ყოფილიყო? ამას გარდა თვით ტყიბულში ერთი ბიბლიოთეკა - სამკითხველოს გახსნაც „ვერ მოუხერხებიათ" განათლების განყოფილების მუშაკებს, სოფლიდან ჩამოსული კოლმეურნეები, მასწავლებლები, აგრონომები, ამაოდ ეძებენ სამკითხველოს.

კულტმასობრივი მუშაობა მთლიანად მივიწყებულია. სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რაიონი). სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კ. ჰაჩტერიას ეს საკითხი ოდნავადაც არ აინტერესებს—იწერება ამხ. ვ. ქებურია.

კულტურის სხივებმა ჩვენი ქვეყნის ყველა კუნჭულში შეაღწია. ახლა ჩვენში არ მოიპოვება მიყრუებული კუთხე ან სოფელი, ხევსურეთი წინათ მივარდნილ, მივიწყებულ კუთხედ იყო ცნობილი. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა, მაგრამ მაინც არის ნაკლი, გამოწვეული ცუდი ხელმძღვანელობით. როგორც ამხ. ვ. ხორნაული გვწერს, აქ კინოტექნიკოსად, რადიოტექნიკოსად და სამკითხველოს გამგედ ერთი ადამიანი დაუნიშნავთ. მაგრამ ერთი წელია, არც კინო უნახავს ვინმეს, არც რადიოს ხმა გაუგონია. სამკითხველოში ახალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ხომ იშვიათი მოვლენაა. „განა შეიძლება ჩვენს კუთხეში ურადიოდ, უკინოდ და უსამკითხველოდ ცხოვრება?" სრულიად სამართლიანად ჰკითხულობს ამხ. ხორნაული.

დასასრულ, ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია. ეს საქმე ჩაშლილია ყვარლის რაიონში, როგორც ამას ამხ. შ. ორაგველიძე გვატყობინებს. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ის სკოლები, რომლებიც ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს ასწავლიან. მაგალითად, ყვარლის სასოფლო-საბჭოში მცირემცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლაში 46 კაციდან სისტემატურად 24 კაცი აკლდება. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამ საქმეს გულხელდაკრეფილი შეჰყურებს. საბუეს სასოფლო საბჭოში მეცადინეობა სისტემატურად იშლება, მასწავლებლებს ხშირად სცვლიან. ძალიან სუსტია განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა ამ საქმეში. ამას ისიც ემატება, რომ მასწავლებლებს ხელფასს დროზე არ აძლევენ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს საქმე აქ ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

ასეთი ფაქტები არც ისე იშვიათი მოვლენაა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველო, რაიონული აღმასკომები და სასოფლო საბჭოები. ისინი არ ეხმარებიან, ხელს არ უწყობენ კულტმასობრივი მუშაობის დაწესებულებებს. სწორედ ასეთი ხალხი ჰყავდა მხედველობაში ამხ. სტალინს, როცა ჰოვარდთან საუბარში განაცხადა: „ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლების ესა თუ ის ადგილობრივი ორგანო ვერ ახერხებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ამა თუ იმ მრავალფეროვან და სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. აშენე თუ არა შენ კარგი სკოლა? გააუმჯობესე თუ არა საბინაო პირობები? ბიუროკრატი ხომ არა ხარ შენ? დაგვეხმარე თუ არა შენ გაგვეხადა ჩვენი შრომა უფრო ეფექტური, ჩვენი ცხოვრება უფრო კულტურული? ასეთი იქნება ის კრიტერიუმი, რომლებითაც მილიონობით ამომრჩეველნი მიუდგებიან კანდიდატებს, უკუაგდებენ უვარგისთ, ამოშლიან მათ სიებიდან, წამოსწევენ უკეთესთ და წამოაყენებენ მათ კანდიდატურებს".

ვიდრე ამომრჩევლები ასე დააყენებენ საკითხს, საჭიროა განსახკომმა, რაიაღმასკომებმა და სასოფლო საბჭოებმა გამოასწორონ მდგომარეობა, თორემ მერე გვიან იქნება.

◆ ◆ ◆

ზოგიერთი უცხო სიტყვის ფორმა ქართულ ენაში

(საკითხის დაყენებისათვის)

ქართულ პრესასა და ლიტერატურაში იხმარება შემდეგი ფორმები: დენონსირებული, ინფორმირებული, ბომბარდირებული, ინსპირირებული, ლიკვიდირებული, ფიქსირებული, სტიმულირებული, ტელეგრაფირებული და სხვ. ყველა ამ სიტყვაში მეორდება „ირ", რაც მათ ძლიერ აგრძელებს და ძნელად გამოსათქმელადაც ხდის. ამ „ირ"-ის ისტორია ასეთია: ფრანგულ ენაში წარმოიშვნენ სიტყვები: Denonser, Recommander, Bombarder, Inspirer, Liquider, Stimuler, Teleqraphier, და სხვ.

ეს სიტყვები გადავიდნენ გერმანულ ენაში, გერმანელმა მათ მისცა გერმანული ზმნის დაბოლოება „ieren" (იირენ) და გამოთქვა მან ისინი ასე: Mobilisieren, Denonzieren, Informieren, Recommandieren, Inspirieren და სხვ.

რუსულმა ენამ ისინი მიიღო არა უშუალოდ ფრანგულე ენიდან, არამედ გერმანულიდან და შეუნარჩუნა მათ გერმანული ზმნის დაბოლოების ნაწილი **„ир"** რუსულად ამბობენ: **денонсировать, информировать, бомбардировать, инспирировать** და სხ.

სიტყვების ასეთმა მგზავრობამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთ რუსულ სიტყვაში (მაგ. **утилизировать**) სამი ზმნის დაბოლოების ნაწილი გვხვდება. ფრანგულისა is, გერმანულისა ier და რუსულისა-**ов**

ცხადია, ქართულ ფორმებს უნდა ჩამოშორდეს „ირ" და ზემოხსენებული სიტყვები გამოითქვას შემდეგნაირად: დენონსებული, ინფორმებული, რეკომენდებული, ბომბარდებული, ინსპირებული, ლიკვიდებული, ფიქსებული, სტიმულებული, ტელეგრაფებული.

შეიძლება დაისვას საკითხი, რომ ზოგ ფორმას, რომლებშიაც დარჩენილია ფრანგული ზმნის დაბოლოების ნაწილი „იზ", მაგალითად უტილიზებულს, მოაკლდეს ეს იზ. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა მოხდეს. ქართულ ენაში დამკვიდრებული არიან სიტყვები: მობილიზაცია, უტილიზაცია და მათთან დაკავშირებით უნდა ითქვას მობილიზებული, უტილიზებული.

გ. ხუციშვილი

ესპანეთის ხალხს

შორეული ესპანეთი იწვის ცეცხლის ალში,
ცეცხლის ალში და ფაშისტურ [illegible] რკალში.
რომში ზრდილი გველის შხამი, [illegible]
ესპანეთა სიკვდილს ებრძვის [illegible]

ტორკვემადას ცეცხლი სწამდა ესპანიას ძველად,
პაპის შავი ტრიბუნალი ადგა სისხლის მსმელად.
კათოლიკე მეფე ჰყავდა ინკვიზიტორს მცველად,
მან მიჰგვარა ჯალათს ხალხი ცეცხლში დასაწველად.

აღარ შესწყდა აუტო-და- ფე, არ შენელდა ომი,
ვიდრე ჯვარმა არ გასტეხა ესპანური ტომი.
მძვინვარებდა „ცეცხლი წმინდა", მარად მსხვერპლის მდომი,
და ოქროთი მძიმდებოდა წაწყმენდილი რომი.

დღეს სხვაგვარი ცეცხლის შუქი გზას უნათებს ხალხებს,
ესპანეთიც სწვავს მონობის სამარცხვინო თალხებს,
წითელფერა დროშით იცავს ღარიბ ქოხს და ბაღებს,
და მიარღვევს დაუნდობელ რეაქციის ტალღებს.

ამითაა, რომ ზღვად იქცა გული, ერთი მუჭა,
რომ ვეფხვივით ომში იბრძვის ასტურიის მუშა,
რომ სისხლოვან ჰალად გახდა ოვიედოს ქუჩა,
და ქედები გვადარამის ცეცხლმა გადარუჯა.

თვით სერვანტესს დღეს უჭირავს ხალხურ დროშის ტარი,
რომ გრენადას ლაჟვარდ ცაზე ხალისობდეს დარი,
რომ დადუმდეს მწუხრით სავსე ეკლესიის ზარი,
და ახალ მზეს სიხარულით შეხვდეს ალკაზარი.

ლოპე ვეგაც რაზმავს თავის უკვდავ გმირთა ამქრებს,
თვით გოია თავს ანებებს ფერადებს და ფანქრებს,
კარმენის და ხოზეს ტყვია მტრის სიმაღლეს ანგრევს,
ლაურენცია დასტრიალებს „ცხვრის წყაროსთან" სანგრებს.

შენც, პოეტო, ჩვენი „ვაშა", ესპანურად—„ოლე",
დახვრეტილო ძმაო ლორკა, გმირს რომ დაეტოლე,
დაეცი და ბევრი ლექსი საფლავს ჩაიყოლე,
თუმც ყველას სჯობს, რაც მიწაზე სისხლით გადაზოლე.

უნდა მოხდეს—ხალხის მტერი საფლავს ჩააწვინო,
მის საფლავზე ძეგლით შენი რისხვა დაასვინო,
გამარჯვების სიმღერები ქვასაც მოასმინო,
ჰანგი ტკბილი, როგორც შენი ალიკანტეს ღვინო:

„გვინათებს და გვინათებდეს თქვენი მზე და მთვარე,
ჩვენ სტალინის დიდი დროშა თქვენებრ შევიყვარეთ,
ჩვენც დავლეწეთ ბორკილები ჩვენში ყოველგვარი,
და ზეიმობს ესპანეთი, ბევრჯერ გადამწვარი"...

ეს ცეცხლია, რომ ათბობს და გზას უნათებს ხალხებს
ამ ცეცხლში სწვავს ესპანეთი ბორკილებს და თალხებს
წითელფერა დროშით იცავს ღარიბ ქოხს და ბაღლებს,
და გაარღვევს ესპანეთი რეაქციის ტალღებს.

ნიკოლოზ მიწიშვილი

◆

ერთი პასუხის გამო

„კომუნისტის" 23 მაისის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით „შენობა ააგეს, მისასვლელი გზა კი დაავიწყდათ".

ჩვენ იქ ვეხებოდით ახლადდაგებულ რაისამხედრო კომისარიატთან მისასვლელი გზის გაუყვანლობის გამო შექმნილ მეტად მძიმე მდგომარეობას.

ეს კორესპონდენცია რედაქციამ განსახილველად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ტფილისის საბჭოს საგზაო ტრესტს, რომელმაც ასეთი პასუხი მოგვცა: „დასახელებული გზის მშენებლობა მომავალი წლის გეგმაშია გათვალისწინებულიო". მოკლედ, საგზაო ტრესტმა გვითხრა, — არაფერს არ ვფიქრობ წელს ამ გზაზე და მომეშვით, ნუ მაწუხებთ და ნურც თავს იწუხებთო.

ტფილისის რაისამხედრო კომისრის ამხ. შონიას თქმით, სამხკომატში ყოველდღიურად საშუალოდ 400—800-მდე კაცი დაიარება და აბა წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქნება ავდარში, როდესაც მუხლებამდე ტალახში უხდებათ სიარული, ხოლო თუ ვინმემ ავტოთი მისვლა განიზრახა, იძულებული გახდება სამხედრო გზიდან გადახვევისთანავე დასტოვოს იგი, რადგან მანქანა წინ ერთი მეტრითაც ვერ წაიწევს.

ასეთ სურათებს ბლომად ნახავენ მუშაკები ტფილისის საბჭოს საგზაო ტრესტიდან, თუ თავს შეიწუხებენ და კაბინეტიდან ერთი წუთით მაინც გამოვლენ.

ჩვენ საგზაო ტრესტის მიერ რედაქციისათვის მოცემული პასუხი მიგვაჩნია საჭირბოროტო საკითხისადმი უსულგულო დამოკიდებულებად. რას ნიშნავს „წელს არაფერს ვფიქრობთ, რადგან ამ გზის გაყვანა მომავალი წლის გეგმაშია გათვალისწინებულიო".

ნუთუ ტფილისის საბჭოს არ მოეპოვება საშუალება წელსვე, ახლავე გაიყვანოს ხრეშიანი გზა მაინც, რომ ხალხმა არ იწვალოს და გაუჭირვებლად მივიდეს დასახელებულ დაწესებულებაში.

უსათუოდ მოეპოვება!

ჩვენ ამ საკითხს ხელმეორედ ვუბრუნდებით, მასზე მივაქცევთ ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნიორაძის ყურადღებას და მოვითხოვთ საქმეში მის ჩარევას.

სამხედრო კომისარიატთან მისასვლელი გზა გაყვანილ უნდა იქნას წელსვე. ეს სავსებით შესაძლებელია.

მოსე გვასალია

წალენჯიხელთა სიხარული

კავკასიონის კალთებიდან ახლად ამოსული სავსე მთვარე დაგვყურებს, ხოლო მზის დასავალთან საღამოს მუქწითელი ფერი ჯერ არ ჩამქრალა. ჰენწყარი მინელებული ხმით შხუის, თითქოს მიეძინაო ნისლში გახვეულს. კავკასიონის გოლიათები ისე ახლო მოჭრილან, გეგონება ხელს მიუწვდენ. ჰენწყარის გასწვრივ მივდივართ, კარებზე მომდგარი სავსეჯიქინიანი ძროხების ბღავილი, საღამოზე აშვებული ვეება ძაღლების ფილხილი ყეფა, თხების სარეკლების კაკუნი და ჰების ოჩინარების ჭრიალი მოგვესმის. სოფელი სანახევროდ გზაზეა გამოფენილი. მინდვრის სამუშაოებიდან დაბრუნებულმა კოლმეურნეებმა ეს-ეს არის სამუშაო ტანსაცმელი გამოიცვალეს და სუფთად გამოწყობილნი გამოდიან ჭიშკარში. შეგვიანებულნი, კალათით, თოხით და ბარით ხელში, შინისკენ მიეჩქარებათ. დღეს სოფელ წალენჯიხის ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობას უჩვეულო ზეიმი აქვს.

ოდის წინ გაშლილ ზურმუხტის ველზე სავსე მთვარეს ვაშლის ხეების ვეება ჩრდილები დაუხატავს. უკანა რიგზე შეგრული ოთხთვალიანი კოხტა ოდა დგას. დერეფანი ფერად-ფერადი ვარდებით, ყვავილების თაიგულებით, წიწვიანი ხეების ტოტებით და დროშებითაა მორთული. მხიარული ჟრიამულითა და სიმღერებით თანდათან ივსება ეზო. დერეფანში ფაციფუცია. კოლმეურნეებს მთვარის სინათლეზე გამოაქვთ მაგიდა, ლამფა, სკამები. ახლადმოსულნი მინდვრებზე ეყრებიან. საცაა დაიწყება ზეიმი. უცებ ჟრიალა სასულე ორკესტრმა. ცნობისმოყვარე ბავშვები დედების დატუქსვას არაფრად აგდებენ, ჟრიამულით ეხვევიან ორკესტრს.

— ამხანაგებო, — მიმართავს დამსწრეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თვართვალია.

მაგიდის გარშემო, სუფთა მინ-

ლენი, ყველას უნდა გაიგონოს სიტყვები. თავმჯდომარე სდუმს, რათა შეკრებილთ დაწყნარება დააცადოს.

— ამხანაგებო, დღეს ჩვენ ზეიმი გვაქვს. დღეს შევიკრიბეთ აქ, რათა მივიღოთ დასტური, რომ მიწა, ჩვენი ოფლითა და სისხლით საუკუნეების მანძილზე გაპოხიერებული, სამუდამოდ ჩვენს სარგებლობაშია.

ტაშის და მუსიკის გრიალი ჰფარავს თავმჯდომარის სიტყვებს... კრება არ სცხრება. დღეს აქ მთელი წალენჯიხის მშრომელნი ზეიმობენ...

○

და განა მათ ამის საფუძველი არა აქვთ? აბა თვალი გადავავლოთ წალენჯიხის წარსულს.

ხარის თვალები აუხვიეს და გაუშვეს. პირუტყვს თავისუფლად უნდა ევლო მთელი დღე და სადაც საღამოთი დაწვებოდა, იქ უნდა აეშენებინათ ეკლესია. პირუტყვმა კოლხიდის მიწები უკან მოიტოვა, ნაყოფიერი ველი გადაიარა და კავკასიონის კალთებს ქვემოთ, კლდის მდინარის ნაპირად, მწირ ეწერში აირჩია ღამის გასათევი. მშენებლებს თავზარი დაეცათ, მაგრამ რას გააწყობდნენ, საქმე გათავებული იყო, ეკლესია ეწერში უნდა აეგოთ. ეახლნენ მთავარს და მოახსენეს:

— ადგილი სანაქებო არაა, „ჩქე დიხა და ჩქე წყარია"! (ცოტა მიწა და ცოტა წყალია). ასე დაერქვა თურმე ამ ეწერების კუთხეს წენდიხა, ხოლო მდინარეს ჰენწყარი. ეს არის ლეგენდა.

ძეძვი, ეკალბარდი, თხმელა, პანწია უფერული ეკლიანი ბუჩქები და კაცის სიმაღლის გვიმრა, სქლად ამოსული, ტურა-მგლების საბუდარი მოსდებოდა მინდვრებს, ვაკეებს, მაღლობებს, სერებს, — ამას ეძახდნენ ეწერს.

ეწერის წითელი მიწა სრულებით გამოუსადეგარი გამოდგა. სცადეს, გააკაფეს, დათესეს სიმინდი — ვერ

ხეხილი, — ყოველივე გახმა, დაკნინდა და დაჩიავდა. ამის შემდეგ ეწერის მიწას შეარქვეს „უტვინო", ძეძვი და ეკალბარდი თავის ნებაზე მიუშვეს, ყველაზე ფართო ეწერის ველსაც მოუძებნეს სახელი—„ზღვაია". სიმინდისათვის მდინარე ჰენწყარის მხოლოდ ვიწრო ნაპირები და კოლხიდის დაბლობის მოსაზღვრე ზოგიერთი კუთხე ვარგოდა. მოსახლეობა მხოლოდ ამ ადგილებში გაჩნდა. მაგრამ ეს „სამჭადე" ნაპირებიც გამოუკლებლივ დადიანებს, შენგელაიებს, ჭიჩულორიებს, აფაქიძეებს, გვაჯავებს ეკუთვნოდათ. ეს არის სინამდვილე.

გლეხებს სანახევროდ შეეძლოთ აეღოთ და დაემუშავებინათ ნაკვეთი. სულ რამდენიმე კალათა მოსავალი შედიოდა წალენჯიხელი გლეხის ოჯახში. ღარიბებს კი დაწნული ფაცხები და ისლით დახურული ქოხები ედგათ. ასიოდე კონა ჩალას ფაცხის გვერდით ხეზე ჰკიდებდნენ. ასეთი იყო პეიზაჟი. ეს ხეები ჰკავდნენ კოლხიდის მოფუყულ ყანჩებს, ხოლო ეს ფაცხები მათ ბუდეებს — მიწაზე დაგდებულს.

ხალხი სისხლს ღვრიდა [illegible]სათვის, მიწისათვის. ამ კუთხიდან გახლავთ დადიანების დაუცხრომელი რისხვა უტუ მიქავა, დაუნდობელი და პირდაპირი როგორც შემართული მახვილი, დამონავებულ და წელგატეხილ გლეხობის საყვარელი გმირი, ხელმძღვანელი.

მათმა მრისხანე რაზმებმა მრავალად აჰყარეს ჯუჯათა და უნასთა ბუდეები:

ჩიჩუეფი ნტებული დო
დადიეფი შინაფილი,
არძო ხუნდის გეცორუნა
შიშით გოჩიჩინაფილი.
ჩარი, ჩარი, ჩარი რამა,
ვორი ვოხოხოია! *)

ბევრს ახლაც ახსოვს უტუს რაზმელთა ეს სიმღერა. ამაყ შევარდნებს ფრთები დასჭრეს. ხალხი დათრგუნეს. მიწა და ადამიანის უფლებები მიუწვდომელი დარჩა.

○

1917-18 წელს ს. გეგეჭკორმა წალენჯიხაში და მის მეზობელ სოფლებში შეადგინა წითელი რაზმი... მრავალჯერ გადაჯეკნა მენშევიკების თეთრმა გვარდიამ ამის გამო უმწეო ეზოები და ფაცხები. თვითმფრინავი და ტყვიამფრქვევის ლულა განუწყვეტლივ ზვერავდა წალენჯიხის ამხედრებულ სოფლებს. გედევანიშვილის რაზმი, ერქომაიშვილის რაზმი, ფურცელაძის რაზმი და ვინ იცის კიდევ რამდენი ავანტიურისტის და არამზადას რაზმი არ მოსულა აქ მენშევიკების დროს მშრომელი გლეხების ასაწიოკებლად და საწამებლად, რომელთაც პური და თავისუფლება, მიწა და მშვიდობიანობა სურდათ.

და ეს ეწერი მაინც ეწერად რჩებოდა, ხოლო წალენჯიხა — ეს მივარდნილი და მიყრუებული სოფელი—მხოლოდ დამსჯელი რაზმების სამხედრო რუკებზე იყო გარკვევით ნაჩვენები.

სიმინდის მოსავალი არ ჰყოფნიდათ, ყოველი გლეხური ოჯახი ულუკმაპუროდ იყო დარჩენილი. ადგილობრივ რომ ვერავითარ სხვა სამუშაოს პოულობდენ, გლეხები სხვა რაიონებში მიდიოდნენ სამუშაოდ, უმთავრესად აფხაზეთში. ამ გადახვეწას თან სდევდა ავადმყოფობა, წვალება და ბევრჯერ უპატრონოდ მიტოვებული ოჯახის დაღუპვა.

უბედურების, სიდუხჭირის და სილატაკის სათავე მიწის უქონლობა იყო. მშრომელი ხალხის მიერ დედის ეპიტეტით დაჯილდოვებული მიწა, ეს ყოველი გლეხის შეუსრულებელი, მიუწვდომელი ოცნება, ხალხის მტრებს ჰყავდათ ტყვეობაში.

ახლა უ. მიქავას კაჟიან თოფს მშვიდად სძინავს ზუგდიდის მუზეუმში. რაღაც რამდენიმე წლის განმავლობაში წალენჯიხამ სახე იცვალა.

ფართო მოკირწყლულ გზატკეცილზე მანქანები მიჰქრიან მივარდნილ და უგზოობის გამო ქვეყანას მოწყვეტილ, ჯერ კიდევ გუშინ სოფლად წოდებულ წალენჯიხისაკენ. ზუგდიდიდან ოცდახუთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ეგი კავკასიონის კალთების ქვემოთ. გასცილდებით სოფელ კორცხელს და თვალწინ გადაგეშლებათ შესანიშნავი სანახაობა. მაღალ სერებზე სიმინდის საყანეები, ჩაის პლანტაციები, ქოჩორა ხეები უცნაურად შეზავებულ სოცნებო ფერებს ქმნიან.

ვეება ზვგანი გაუკაფავთ და გაუწმენდიათ. აქა-იქ მუხისა და რცხილის გარუჯული შავი ჩონჩხები აღმართულან, შუაგულში კი თეთრი კირით შეფეთქილი სახლები ჩარაზმულან.

თურმე ეწერი, ყველას მიერ დაწუნებული, უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავდა. ყველასათვის მოულოდნელი და უცნაური ამბავი გამოირკვა. ეწერში მინერალური სასუქის უმნიშვნელო რაოდენობით შეტანის შემდეგ მშვენივრად გაიხარა ჩაის ნაზმა ზურმუხტოვანმა ბუჩქმა.

აგერ ზღვაია, უსარგებლოდ ჭაკეცხების ქურდების და ტურების თავშესაფრად მიტოვებული ზღვაია. აქ ამ ადგილას „ლამაზი თხმელა" იდგა. ასე ეძახდნენ ამ გზაზე ერთადერთ მაღალ საჩრდილობელ თხმელას. აქ წინათ ბანდიტების მრისხანე სადგური იყო. მგზავრებს ყოველთვის აქ ძარცვავდნენ და დღეობით „ასვენებდნენ" ჩრდილში. ახლა თხმელის ალაგას წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ეზოს ჰშვენის თეთრი, მაღალთაღებიანი კარიბჭე. ამ კარიდან ჩაის მწვანე თვალუწვდენ მწკრივებს შორის გრძლად და სწორად გაჭიმული მშვენიერი ხეივანი მიიმართება. ქვემოთ კი ვეებერთელა ნაგებობის ამოყვანილი კედლები ხვდება თვალს. იქ შენდება ჩაის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში გადაამუშავებს ორ მილიონ კილოგრამზე მეტ მწვანე ფოთოლს. შენდება ელექტროსადგური, საცხოვრებელი სახლები, სასადილო, კლუბი, სამკითხველო, მუშათა მთელი ქალაქი.

ეს არის ახალი საბჭოთა ზღვაია. ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელი წყარო.

და განა მარტო ზღვაია გამოიცვალა ასე. მთელი კუთხე აყვავდა. ჩაის პლანტაციამ სავსებით შესცვალა რაიონის სახე და ოდესღაც მწირი, მიწით ღარიბი „წენდიხა" ბედნიერ, შეძლებულ, მოწინავე კუთხედ იქცა. აღმოცენდნენ ძლიერი კოლმეურნეობები. ასეთია, მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა სოფელ ლიაში, რომელიც აერთიანებს 121 კომლს. კოლმეურნეობაში წამყვან კულტურას წარმოადგენს ჩაი. პლანტაციები გაშენებულია 135 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ უკვე ნახევარი მილიონი მანეთი მიიღო ჩაის პლანტაციებიდან. მომავალში ყოველწლიურად ნორჩ პლანტაციასთან ერთად გაიზრდება შემოსავალიც. ასეთივეა სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სოფ. ნაკიფუში, რომელიც 107 კომლს აერთიანებს. აქ ჩაი 92 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. რაიონში არსებულ 62 კოლმეურნეობიდან თითქმის ყველა მისდევს ჩაის კულტურას.

თვითონ დაბად წოდებული წენდიხა! ლამაზად გაყვანილი ქუჩები, ორსართულიანი სახლები, ელექტროგანათება, ხუთამდე საშუალო სკოლა, ჩაის ქარხანა, რადიო-ანძები, საავადმყოფო, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ხმოვანი კინო და მრავალი სხვა, — აი რას წარმოადგენს დღეს ოდესღაც მივარდნილი ყრუ სოფელი, სადაც სწორედ ოთხი სახლი იდგა. მილიციელების და გვარდიელების სადგომად აშენებული.

ქალაქის გარშემო ეწერი გაიკაფა. მუქწითელ ხავერდზე თითქოს ზურმუხტის თვლები უხვად მოუფანტავთ, — ქაშანური მიწა და მწვანე ბუჩქი ლილისფერი ცის და კავკასიონის მწვერვალების ფონზე განუმეორებელ სურათს წარმოადგენს, თითქოს დიდებული ოსტატების ნახელოვნებს შეჰყურებ.

ეს ფერები მე ცისარტყელას შევადარე, მიწაზე გართხმულს და იისფრად, წითლად აფერადებულს.

ასეა, წალენჯიხელ კოლმეურნეებს ზეიმის საფუძველი აქვთ...

○

სავსე მთვარე დაჰყურებს შეკრებილთ. ხეების ჩრდილმა გადაინაცვლა. ლამფის სუსტი შუქით განათებულ მაგიდასთან ერთმანეთს სცვლიან ორატორები. ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თვართვალიას შემდეგ გამოდის წალენჯიხის მიწგანის გამგე ამხანაგი ვეკუა, შემდეგ რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია იღებს სიტყვას.

ამ კრებას ესწრება უტუ მიქავას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვასილ მიქავა, ბევრი სიდუხჭირის შემსწრე მოხუცი. ვასილი დინჯად მიდის მაგიდისაკენ:

— ამხანაგებო, აი რა უნდა გითხრათ. გლეხის განთავისუფლება უმიწოდ ლიტონი სიტყვაა, მიწა ტყვეობაში ჰყავდათ, მაშასადამე ჩვენც ტყვეობაში ვიყავით, მიწა თავისუფალია დღეს, მაშასადამე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დღეს ჩვენც მოგვეპოვება თავისუფლება. მიწა ჩვენია. ნამუშევარი და ნაამაგარიც ჩვენია. მე ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი დღე გათენდებოდა გლეხკაცს... ისევ ჭექს ტაში, უკრავს მუსიკა. კოლმეურნეები მალაქია ზარქუა და ილარიონ სარია თხოულობენ სიტყვას.

ჩვენი კოლმეურნეობა ახლახან ჩამოყალიბდა. სიტყვა მივეცით ამხანაგ ლავრენტის, რომ სანიმუშოდ ვიმუშავებთ. ამას შევასრულებთ კიდეც. უკვე მოვიპოვეთ პირველი მიღწევები. მიწა, რომელიც სამუდამო სარგებლობაში გვეძლევა, კოლმეურნეობის სიმტკიცის საფუძველია.

ისევ და ისევ ჭექს ტაში...

გვიან დაიშალა კრება. სოფელ ჯვალიდან, საჩინოდან, ფუქიდან სტუმრად მოსული კოლმეურნეები და წალენჯიხის ჩაის ფაბრიკის მუშები გზაზე გამოეფინენ. სიმღერა, სიცილი, მხიარული ჟრიამული გაისმის.

გვიანაა. არ სძინავს სოფელს.

◆

---

*) ჩიჩუები გაიქცნენ, შიშისგან გამოლენჩებული დადიანები ხენ- [illegible]

დადგენილება

საქ. სსრ სახკომსაბჭოსი

ქალ. ტფილისის დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და წამოწყებებში მომუშავე სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა—აგრონომებისა, ზოოტექნიკოსებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ინჟენრებისა, მიწათმომწყობებისა და ვეტერინარ-ექიმების აღრიცხვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალ. ტფილისის დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და წამოწყებებში მომუშავე სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა - აგრონომებისა, ზოოტექნიკოსებისა, სასოფლო - სამეურნეო მანქანების ინჟენრებისა, მიწათმომწყობებისა და ვეტერინარ-ექიმების აღრიცხვისათვის, — დაევალოს ამ სპეციალისტებს გამოცხადდნენ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 2, მე-2 სართული, ოთახი № 4) სარეგისტრაციოდ ა. წ. სექტემბრის 15-დან სექტემბრის 20-მდე.

2. წინადადება მიეცეს ქალ. ტფილისის ყველა დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და წამოწყებების ხელმძღვანელთ, მათი პერსონალური პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ, რათა 1-ლ პუნქტში დასახელებულმა სპეციალისტებმა გაიარონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში რეგისტრაცია აღნიშნულ ვადაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბუდუ მდივანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. ქვირიკაძე.

1936 წ. სექტემბრის 13
ტფილისი

◇ ◇ ◇

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

(ტელეგრაფით ზუგდიდიდან).

ათ სექტემბრამდე (ჩათვლით) თამბაქოს მოსავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.211.355 მეტრი ზონარისა, აცმულია 1.260.405 მეტრი ზონარი, წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით.

თამბაქოს ტეხვა წარმატებით მიმდინარეობს.

გვასალია, როგავა.

◇ ◇ ◇

ნალენჯიხის რაიონის ჩაის სტახანოველთა შეკრება

6 სექტემბერს შესდგა წალენჯიხის რაიონის ჩაის სტახანოველთა შეკრება, რომელსაც 132 კაცი დაესწრო. შეკრებას აგრეთვე ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

რაიკომის მდივანი ამხ. ბარამია გამოვიდა მოხსენებით: „სტახანოვური მოძრაობის წლისთავი და ჩვენი ამოცანები".

მოხსენების გარშემო სიტყვები წარმოსთქვა 13 სტახანოველმა. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია საუკეთესო სტახანოველების—სერაფიონ ცემინტიას და ავთანდილ კანკიას გამოსვლამ.

სერაფიონმა და ავთანდილმა პირობა მისცეს შეკრებას, რომ უახლოეს დღეებში ისინი მოკრეფენ ასას კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს.

შეკრებამ დაადგინა ჩამორჩენის გამოსასწორებლად სექტემბერი გამოცხადდეს ჩაის ფოთლის კრეფის დამკვრელ თვედ და ოქტომბერში მოხდეს სარაიონო გარდამავალი დროშის გადაცემა გამარჯვებულა სასოფლო საბჭოსათვის.

შეკრებამ დააჯილდოვა 14 სტახანოველი და მისალმება გაუგზავნა ამხ. ლავრენტი ბერიას.

◇ ◇ ◇

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„კორესპონდენტს სდევნიან"

ამ სათაურით რედაქციაში მიღებული კორესპონდენციის ავტორი გვატყობინებდა, რომ მარელისის ფაბრიკის მუშაკის მეამე კურსის მოწაფე კომკავშირელმა მ. ბაქრაძემ სცემა კედლეკორის ამხ. ალ. ჩუბინიძეს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მისი და და ბიძაშვილი სამართლიანად ამხილა კედლის გაზეთში, როგორც დისციპლინის დამრღვევნი სკოლაში. მ. ბაქრაძე იმდენად გათავხედდა, რომ საკუთარი ხელით ამოჭრა კედლის გაზეთიდან ის სტრიქონები, სადაც აღნიშნული იყო მისი დისა და ბიძაშვილის უდისციპლინობა. ამის შემდეგ დაიწყო ალ. ჩუბინიძის დევნა და შევიწროვება მ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა მარელისის ფაბრიკის პარტკომის მდივანს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მ. ბაქრაძე, როგორც უღირსი კომკავშირელი და კორესპონდენტის მდევნელი, გარიცხა კომკავშირის რიგებიდან და მუშაკობიდანაც.

„ძმაბიჭურად ანაწილებს"

რედაქციაში ამ სათაურით მიღებული წერილის ავტორი ვანის რაიონიდან გვატყობინებდა, რომ რაიმაღაზიის ხ.-მგ. გამყიდველი შ. მიხელაშვილი მაღაზიისათვის მიღებულ საქონელს ძმაბიჭურად ანაწილებს და სპეკულაციას ეწევაო.

ვანის რაიპროკურორი ამხ. პავ. წაქაძე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. შ. მიხელაშვილი მიცემულია პასუხისგებაში სს.კ. 111 მუხლით.

„კოლმეურნეობა ცუდად მუშაობს"

ამ სათაურით „კომუნისტმა" მიიღო წერილი, რომლის ავტორი აღნიშნავდა, რომ სოფ. დოესის (კასპის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვანო პიპიაშვილის უთავბოლო მუშაობის შედეგად ამ კოლმეურნეობის საქმიანობას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა. კოლმეურნეობა ყოველგვარი გეგმის შესრულებას ჩამორჩება.

კასპის რაიმიწგანის გამგე ამხ. ლ. ფხიტიძე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ვ. პიპიაშვილი მოხსნილია სამუშაოდან და პასუხისგებაშია მიცემული.

EDUARDO BIANCO

საქფილეგთის მოწვევით ტფილისში ჩამოვიდა არგენტინელი ჯაზ-ორკესტრი „ბიანკო". სურათზე: — მარცხნივ ჯაზის ხელმძღვანელი ედუარდო ბიანკო, მარჯვნივ—ჯაზ-ანსამბლი.

წყალტუბოში

სექტემბერს მოაგარაკეთა რაოდენობა წყალტუბოში მნიშვნელოვნად გაიზარდა: ყველა სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და აგრეთვე თავისუფალი ოთახები კოლმეურნეთა სახლებში გადატვირთულია დამსვენებლებით.

1 სექტემბრამდე წყალტუბოს აბაზანები სეზონის განმავლობაში მიიღეს დიდძალმა დამსვენებლებმა—20 პროც. მეტმა, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

კურორტზე დიდი ყურადღება ექცევა დამსვენებელთა კულტურულ დასვენების ორგანიზაციას. თვითეულ სანატორიუმთან და პანსიონატთან არსებობს კულტკაბინეტი. აქვე თვით დასვენებელთა ძალებით იმართება თვითმოქმედების საღამოები. პირველად მიმდინარე წელს კურორტზე მოწყობილია საუცხოოდ გაფორმებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო პავილიონით სხვადასხვა თამაშობისათვის.

დღისით დამსვენებლები ისვენებენ კურორტის კულტურისა და დასვენების საუცხოოდ მოწყობილ პარკში ან მიემგზავრებიან საექსკურსიოდ. საღამოთი დამსვენებელთა მომსახურებისათვის გახსნილია საზაფხულო ხმოვანი კინო-თეატრი.

წყალტუბოში დიდი პოპულარობა მოიპოვა საკურორტო კარნავალებმა. დამსვენებელთა თვითეული ჯგუფისათვის იმართება „ცეცხლოვანი კარნავალი". უკვე ჩატარებულია სამი ასეთი კარნავალი. მეოთხე და ამ სეზონში უკანასკნელი „ცეცხლოვანი კარნავალი" გაიმართება 29 სექტემბერს.

◇

ალავერდი — გორი.

11 ალავერდელი კომკავშირელი, რომლებიც 20 აგვისტოს ქვეითად გაემართნენ ალავერდიდან (სომხეთის სსრ) გორში, უკვე დაბრუნდნენ ალავერდში. გადასვლის მონაწილეთა მარშრუტი იყო: ალავერდი — სტეპანავანი — ახალქალაქი — ბორჯომი — გორი — კასპი — ზაჰესი — ტფილისი — ლუქსემბურგი — ალავერდი. მოლაშქრეებმა გაიარეს 750 კილომეტრი. ისინი გულდასმით გაეცნენ იმ ადგილებს, სადაც თავისი ყრმობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

მთელ მანძილზე გადასვლის მონაწილეებს გულთბილად ხვდებოდნენ მშრომელნი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

◇

ქუთაისის აეროკლუბი

აგვისტოში გაიხსნა აეროკლუბი, რომელიც აღზრდის მფრინავებს, პლანერისტებს, პარაშუტისტებს - ინსტრუქტორებს, ავიომოდელისტებს.

ამჟამად აეროკლუბს საკმაო შენობა აქვს კლასების მოსაწყობად.

ამასწინათ აეროკლუბთან ჩამოყალიბდა საფრენოსნო სკოლა, სადაც ფრენას სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. მუშაობს პლანერისტთა სკოლა, პარაშუტისტთა კურსები, შეუდგნენ ავიომოდელისტთა და ინსტრუქტორთა მომზადებას.

ქუთაისის აეროკლუბს დიდად ეხმარებიან ქალაქის საწარმო-დაწესებულებანი.

უცხოელი გასტროლიორები საქფილეგთში

საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების საზაფხულო სეზონი საკმაოდ მჭლე იყო. მუსიკ-ჰოლის პროგრამაში მეტწილად იყო წარმოდგენილი ყოველგვარი ცეკვა და აკრობატიკა, მაგრამ ცოცხალი სიტყვა არ ისმოდა. საქფილეგთს მთელი სეზონის განმავლობაში არ ჰყოლია კონფერანსიე. მის ესტრადაზე არ გვიხილავთ მხატვრული სიტყვის ღირსშესანიშნავი ოსტატები. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ფელეტონისტი სმირნოვ—სოკოლსკი, რომელიც მცირე ხანს გამოდიოდა საქფილეგთის ცენტრალური მოედანზე. დაპირების თანახმად ზაფხულის განმავლობაში ესტრადაზე უნდა ემუშავნათ ლეონიდ უტიოსოვს, ცელესტინა კოოლს და სხვა პირველხარისხოვან არტისტებს. ეს დაპირება გაუნაღდებელი დარჩა.

საზაფხულო სეზონი მიწურულშია. ზაფხულის ნაკლს საქფილეგთი ახლა ასწორებს. მოწვეული არიან მთელი რიგი მაღალკვალიფიციური ძალები, მათ შორის კონფერანსიე მეიდელევიჩი, რომლებიც სეზონის დახურვამდე იმუშავებენ.

მუსიკ-ჰოლის უკანასკნელი პროგრამა მთლიანად უცხოეთის ატრაქციონებისაგან შესდგება. გამოდიან ამერიკელი, ფრანგი, ესპანელი, ჰოლანდიელი, არგენტინელი არტისტები. უცხოელი მსახიობების მოწვევას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მათი არტისტული ტექნიკისა და ოსტატობის ჩვენების მხრივ. ამ თვალსაზრისით მოწვეულ მსახიობთა უმეტესობა თავის დანიშნულებას ამართლებს.

შესანიშნავად მუშაობენ ჰოლანდიელი მუსიკალური ექსცენტრიკები 3 ალეჯი. თავგზადამხვევ ნომრებს ისინი განსაცვიფრებელი სიმსუბუქითა და ოსტატობით ასრულებენ, თან უტყუარ მუსიკალობას ამჟღავნებენ.

მხიარულ სიცილს იწვევს აუდიტორიაში ამერიკელი არტისტების, მუსიკალური ექსცენტრიკოსებისა და სატირიკოსების 4 რიგოლეტოს გამოსვლა. მათი ენა არ ესმის აუდიტორიას, მაგრამ აქ სიტყვა არც არის საჭირო! ისინი დარბაზში მხიარულ განწყობილებას ჰქმნიან თავისი ზედმიწევნით მეტყველი ჟესტით, მიმიკით, მოძრაობით.

მეტისმეტ სიცილია დარბაზში, როდესაც ამერიკელი არტისტები ქუჩის მუსიკოსების როლში გამოდიან და თან გამოჰყავთ პატარა მაიმუნი. მაიმუნი დოლზე ზის, მის ყოველ ამპარტავნულ ხტებას და [illegible] მაყურებლებს. რიგოლეტოები მრავალფეროვანი არტისტები არიან: ისინი მშვენივრად ცეკვავენ, ვარჯიშობენ რგოლებზე და თან საუცხოოდ უკრავენ სხვადასხვა საკრავებს.

ფრიად საინტერესონი არიან დანარჩენი შემსრულებლებიც: გოგოლაჭებზე მოვარჯიშე კარტერი და ილუზიონისტი სლენდიტი.

პროგრამის მთელი მეორე განყოფილება დათმობილი აქვს არგენტინულ ჯაზს ედუარდო ბიანკოს ხელმძღვანელობით. ცნობილ საკრავებთან ერთად ორკესტრში საპატიო ადგილი უჭირავს გარმონს და გიტარას. ეს ორკესტრი სამი თვის განმავლობაში გამოდიოდა მოსკოვის „ერმიტაჟში" და დიდი მხატვრული წარმატება ჰქონდა.

ორკესტრთან ერთად გამოდის არგენტინელი მომღერალი კარლო მორენო. მას მშვენიერი ლირიული ტენორი აქვს, მღერის დიდი გრძნობით. მშვენიერად შეასრულა მან ორკესტრთან ერთად ნეაპოლიტანური და არგენტინული ხალხური სიმღერები.

უცხოელმა არტისტებმა თავისი ოსტატობით ფრიად დადებითი შთაბეჭდილება დასტოვეს და აუდიტორიაც გულთბილად ხვდებოდა მათ.

ბ.

◇

მეჩონგურეთა ანსამბლის კონცერტი

15 და 16 სექტემბერს საქფილეგთის ბაღში გაიმართება გალის რაიონის (აფხაზეთი) მეჩონგურეთა ანსამბლის კონცერტი ამხ. კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ეს ანსამბლი შესდგება ადგილობრივ კოლმეურნეთაგან, იგი ამხ. გეგეჭკორმა ჩამოაყალიბა 1934 წელს. ანსამბლი შეასრულებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, ცეკვებს, ფერხულს.

კიწი გეგეჭკორს საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის სახალხო სიმღერების გავრცელების დარგში. ჯერ კიდევ 1904 წელს, მან პირველმა გამოიტანა ჩონგური სცენაზე გამოსაყენებლად, ჯერ ლოლუას გუნდში მუშაობის დროს. ის ლოლუას საუკეთესო მოწაფეა, მისი მოადგილე იყო. ლოლუას გარდაცვალების შემდეგ 1924—26 წლებში, ის ხელმძღვანელობდა ლოლუას გუნდს, რომელიც ახლა მუშაობს კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით და რომელსაც ეწოდება დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი.

ამხ. გეგეჭკორი მრავალგან აარსებს გუნდებს: სენაკში, მარტვილში, ბანძაში, ქვალონში, აფხაზეთში ის ეხმარება ფანცულაიას გუნდის ჩამოყალიბებაში. ერთ დროს ბათომში ცხოვრობდა და იქ მოაწყო მომღერალთა გუნდი. იგი ამ საქმის კარგი მცოდნეა, ნიჭიერი სახალხო მომღერალია და ენერგიულად განაგრძობს ამ დარგში მუშაობას.

გალის რაიონის (აფხაზეთი) მეჩონგურეთა ანსამბლი კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით

აფერისტების ოინები

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ქ. არმავირიდან ვინმე ლ. ქ. კრიუგერიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ის სთხოვდა სისხლის სამართლის განყოფილებას მიეღო ზომები მისი ცოლის ტ. ვ. კრიუგერის დასაპატიმრებლად, რომელმაც თითქოს გაჰქურდა იგი. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოქ. ტ. ვ. კრიუგერი, რომელიც ცხოვრობდა გერმანელთა ქუჩაზე № 2. გამოძიების პროცესში გამოირკვა, რომ ცოლ-ქმარი კრიუგერები არიან მსხვილი აფერისტი-გასტროლიორები, რომლებიც თავიანთ 18 წლის შვილთან — ვიქტორთან ერთად მოგზაურობდნენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში და ეწეოდნენ სხვადასხვა კომბინაციას. ამ ცნობების საფუძველზე ტ. ვ. კრიუგერი და მისი შვილი ვ. ლ. კრიუგერი დააპატიმრეს, თვით კრიუგერი, იგივე პოდანი დაპატიმრებულ იქნა ქ. არმავირში.

აფერისტები საბოლოოდ გამოტყდნენ მათ მიერ ჩადენილ ყველა ბოროტმოქმედებაში და განაცხადეს, რომ აფერისტობა დაიწყეს ჯერ კიდევ 1927 წლიდან. პირველად აფერისტები შემდეგნაირად მოქმედებდნენ: ჩადიოდნენ რომელიმე ქალაქში, კრიუგერის ცოლი წავიდოდა პროფკავშირულ ორგანიზაციებში, შეჰქონდა ყალბი განცხადება, თითქოს ის გზაში გაქურდეს და ითხოვდა დახმარებას. დახმარების მიღებისთანავე აფერისტები მიემგზავრებოდნენ მეორე ქალაქში, სადაც იმავეს სჩადიოდნენ. ამ გზით აფერისტებმა, მათივე განცხადებით, მიიღეს 4 ათას მანეთზე მეტი. მოიარეს ქალაქები ორენბურგი, ტაშკენტი, აშხაბადი, ფრუნზე, კოკანდი, ტფილისი, პიატიგორსკი, სოჭი, ორჯონიკიძე, ხერსონი, ხაშური და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა ქალაქები.

ამ „დახმარების" მიღებასთან ერთად აფერისტები მიმართავდნენ კიდევ სხვა გაიძვერულ კომბინაციებს, ეშმაკურად სტყუებდნენ ფულსა და ნივთებს გულუბრყვილო მოქალაქეებს, რომელთაც ისინი აღუთქვამდნენ დახმარებას საცხოვრებლად საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და ამ აფიორებს შემდეგი წესით სჩადიოდნენ: გაიგებდნენ რომელიმე ქალაქში კარგ ბინაზე, მოიპოვებდნენ ბინის პატრონების ნდობას, უამბობდნენ მათ თუ რა კარგი ცხოვრებაა ამა თუ იმ ქალაქში, და ისე დაარწმუნებდნენ ხოლმე, რომ მოქალაქენი თანხმდებოდნენ სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას. გულუბრყვილო ადამიანები ეგებოდნენ აფერისტების ანკესზე, ჰყიდდნენ თავიანთ სახლს და ქონებას და ფულს აძლევდნენ აფერისტებს, რომლებიც მალე ამ ქალაქიდან ან მიიმალებოდნენ ხოლმე, ანდა თავიანთ მსხვერპლს ჩაიყვანდნენ მოსკოვამდე, სადაც ბედის ანაბარა სტოვებდნენ. ამ გზით მოატყუეს და გაქურდეს კისლოვოდსკში მოქ. ფ. ი. ნოვიცკი და ა. ი. პოროლო, რომელთაც აფერისტებმა გამოსტყუეს 13 ათას მანეთამდე ფული და ძვირფასი სხვადასხვა ნივთები. ტფილისში აფერისტებმა მოატყუეს მოქ. ა. ს. სუხოლიცევი და ფ. ი. კობილოვი, რომელთაგან აფერისტებმა მიიღეს 12 ათასი მანეთი. პიატიგორსკში აფერისტების მსხვერპლი გახდა ზელინსკი, რომელმაც გაჰყიდა სახლი და ცხენი და სხვა ქალაქში გადასასვლელად აფერისტებს გადასცა 19 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ასეთ აფერისტულ კომბინაციებს ისინი ახდენდნენ სხვა ქალაქებშიაც.

კრიუგერების ბინის (ტფილისი, გერმანელების ქ. № 2) გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა ნივთების დიდი რაოდენობა, რომლებიც აფერისტებმა დასტყუეს თავიანთ მსხვერპლთ. ნივთებს შორის აღმოჩნდა მოქ. პოროლოსა და ნოვიცკის (კისლოვოდსკი) კუთვნილი ნივთები, რომლებიც დაუბრუნდათ დაზარალებულთ. ნივთების ნაწილი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე აფერისტების დამფარველ ი. ტ. გიორგაძის და ს. მ. ნიქობაძის ბინაზე, (ორბელიანის ქ. № 30). გარდა ამისა, კიდევ დარჩენილია ნივთების ნაწილი, რომელთა მფლობელებს არკვევენ.

გამოძიების პროცესში აფერისტი კრიუგერი გამოტყდა, რომ 1934 წელს ქალ. გაგრაში მან თავი გაასაღა რკინიგზის ინჟინრად და დაიწყო მუშების შეგროვება რკინიგზებზე სამუშაოდ გაგზავნისათვის. გამოართვა რა მის მიერ „შეგროვილ" მუშებს 30 ათას მანეთზე მეტი და სხვადასხვა ნივთები თითქოს მათი მომავალი მუშაობის ადგილას გადასაყვანად, კრიუგერი მთელი ფულით და ნივთებით მიიმალა ქ. გაგრიდან. აფერისტების საქმის გამოძიება გრძელდება. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან აგრეთვე აფერისტების დამფარველები ი. ტ. გიორგაძე და ს. ნ. ნიქობაძე.

ხელოვნება

„დაისი"

16 სექტემბერს „თბილისის თეატრში" გამართება [illegible] წარმოდგენა. [illegible] ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი" [illegible] იქნება მთლიანად.

მთავარ პარტიებს მღერიან: ნ. ქუმსიაშვილი, მ. ნაკაშიძე, ა. ამირანაშვილი, ნ. ცომაია.

დირიჟორი ივ. მიქელაძე.

◇

ქრონიკა

● **ა. ს. პუშკინის** გარდაცვალების 100 წლისთავისათვის აფხაზეთის სახ. გამომცემლობა აფხაზურ ენაზე სცემს პუშკინის „ბორის გოდუნოვს", „კაპიტნის ქალიშვილს" და სხვ.

● **სამხრეთ-ოსეთის ცეკოს** დადგენილებით, სტალინირში შენდება ახალი საბავშვო ბაღი 100 ბავშვისათვის. ეს სამუშაო განსახკომმა მიანდო საშენებს. ბაღი მზად იქნება ამ წლის დამლევისათვის.

● **ხაშურში დამთავრდა** რაიონული საავადმყოფოს პირველი რიგის (50 საწოლი) მშენებლობა, საავადმყოფო უკვე გახსნილია, მეორე რიგის მშენებლობა მთავრდება და მთელი საავადმყოფო 120 საწოლით, მზად იქნება პირველი ოქტომბრისათვის.

● **კომბინირებული გადასვლის** (ტფილისი—მოსკოვი) მონაწილენი 12 სექტემბერს გაემგზავრნენ მოსკოვიდან და [illegible] ჩამოვლენ ტფილისში.

● **პრესის გამავრცელებელ რწმუნებულთა** კონფერენცია გაიმართება 16 სექტემბერს საღამოს 7 საათზე წითელი არმიის ბაღში (პლეხანოვის პროსპ. 73).

შემთხვევები

# **ავტომობილის ავარია.** მოძრაობის წესების დარღვევის გამო მეტრუქე ავტომანქანა № 5—63 (შოფერი გ. დ. სტრიგალენკო) ლენინის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. ვ. ქ. სობოლევს (ენგელსის ქუჩა 37) და მსუბუქად დაჭრა. შემთხვევის ადგილიდან ორი მეტრის მანძილზე, საჭის ძლიერი მობრუნების გამო ავტომობილი გადაბრუნდა. მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა. შოფერ სტრიგალენკოს პასუხისგებაში აძლევენ.

# **ქურდ-რეციდივისტის შეპყრობა.** მილიციის მეათე განყოფილებამ დააპატიმრა ტფილისში არალეგალურად მცხოვრები და შრომა-გასწორების ბანაკიდან გაქცეული ა. ა. გრიგორიანი, რომელსაც მთელი რიგი ქურდობისათვის მისჯილი აქვს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სსრ კავშირის ეკონომიური საფუძვლის შესახებ". 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრეების სოფლის პროპაგანდისტებისათვის შესაფერ საკითხებზე. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: „ფაშიზმი, როგორც ომის მთავარი გამჩაღებელი ევროპაში". 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით 8 საათზე.

○

— **საქ. კ.პ. (ბ) დუშეთის რაიკომი აუწყებს,** რომ პარტიის წევრებმა ალექსი ზაზილას-ძე ნათიაშვილმა (პარტბილეთი № 27|3195), შაქრო გიორგის-ძე გელაშვილმა (პარტბილეთი № 0867219) დაკარგეს პარტბილეთები, რის გამო რაიკომის ბიუროს დადგენილებით გაირიცხნენ პარტიის რიგებიდან. კონსტანტინე სამსონის-ძე გულიაშვილმა (პარტბილეთი № 0867530), როსტომ გრიგოლის-ძე ოჩაიძემ (საკანდიდატო ბარათი № 30177), ალექსი იაკობის-ძე ქარაულიძემ (საკანდ. ბარათი № 34157) და ალექსი მათეს-ძე მანგიაშვილმა (საკანდ. ბარათი № 27810) დაკარგეს პარტბილეთი და საკანდიდატო ბარათები, რის გამო უარი ეთქვათ პარტბილეთისა და საკანდიდატო ბარათის მიცემაზე და გაირიცხნენ პარტიის რიგებიდან. ზემოაღნიშნული პარტბილეთები და საკანდიდატო ბარათები ჩაითვალოს გაუქმებულად.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი

„ბოლშევიკი" № 7—8

შინაარსი:

1. ლავრენტი ბერია—გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები.
2. „პრავდა"-ს მოწინავე—ჩვენი ქვეყანა ესალმება უზენაეს სასამართლოს განაჩენს.
3. ზ. ბრომბიჯერი—ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების წლისთავი.
4. ს. გოდაბრელიძე—სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულება 1936 წლის პირველ ნახევარში.
5. პ. გოგუა—დიდი სტალინის ღირსეული თანამებრძოლი.
6. შ. მეჯრელიძე—სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების გამარჯვება.
7. ავ. ნუცუბიძე—კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული სახის დეპრესიის პერიოდში.

კონსულტაცია

8. ა. სტეცკი—კლასთა ლიკვიდაციის შესახებ ს. ს. რ. კავშირში.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ოქროს ტბა" პროგრ. გარდა ხმოვ. ჟურნ. „ალექსი სტახანოვი"
დამკვრელი 6-20, 8-15, 10-05, საზაფხ. 8-30, 10-20	ახალი ხმოვანი ამერიკული მხატვრული ფილმი „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" სცენარი, რეჟისურა და მუსიკა ჩარლი ჩაპლინისა ბილეთების წინასწარი გაყიდვა დღის 12—5 ს.-მდე
კომკავშირელი 7-20, 9-10, 11, საზაფხ. 7-40, 9-30, 11-20	
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	მხატვრ. ხმოვანი ფილმი „კაინი და არტიომი"
„მიერი" 7-40, 9-20, 11-10	უკანასკნელ ორ დღეს 14 და 15 IX „ახალი ხანა"
26 კომ. სახ. 8, 10	ხმოვ. სურათის „პეპო" სომხ. ვარ.
კომინტერნი საზაფხ. 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი „იგნაშია და გოდერძი"

მარჯანიშვილის თეატრი

გამოშვებულია 1936/37 წ. სეზონისთვის

მუდმივი ადგილები

ყოველგვარი პირობების გაგება და ხელშეკრულების დადება შეიძლება თეატრის ბუღალტერიაში ყოველდღე 10 ს.—3 საათამდე, აგრეთვე შეიძლება თეატრის რწმუნებულის გამოძახება ხელშეკრულების დასადებად. ტელეფონი 3-32-04.

5-4 194 თეატრის დირექცია.

ა-წლის 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სახ. კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8)

მოწვეულია ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს მე-4 პლენუმი

დღის წესრიგი:

1. სანაპირო ქუჩის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ (მომხს. ამხ. ჩიტაიშვილი).
2. სანიტარული მდგომარეობა რაიონში (მომხს. ამხ. ჩხიკვაძე).

დასწრება საბჭოს წევრ კანდიდატების, სახლის რწმუნებულების და საბ. ამხანაგობების თავმჯდომარეებისა სავალდებულოა.

16037 რაისაბჭოს თავმჯდომარე გაბარაშვილი.

ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

16 სექტემბერს

ზ. ფალიაშვილი საჩვენებელი წარმოდგენა

დაისი

ოპერა სამ მოქმედებად მთლიანად.

მონაწილეობენ: მ. ნაკაშიძე, ნ. ცომაია, ა. ამირანაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, ზ. სვანიძე, შ. [illegible]

ცეკვაში მონაწილეობენ ლ. გვარამაძე, მ. ბარხუდაროვი, . ნონიძე, ქავთარაძე, ი. სუხიშვილი, ა. ჩიხლაძე, მ. ჩოხიშვილი.

რეჟისორი ალ. წუწუნავა (სახ. არტისტი).

დირიჟორი ივანე მიქელაძე.

მხატვარი ს. ვირსალაძე.

ცეკვა დადგმულია დ. ჯავრიშვილის მიერ.

დასაწყისი 8-30 წ. ბილეთები იყიდება.

40

15 და 16 სექტემბერს

საღამო აფხაზეთის მეჩონგურეთა ანსამბლისა

კიწი

გეგეჭკორის

ხელმძღვანელობით.

შესრულებული იქნება აფხაზეთის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები.

ცეკვა და ფერხული.

ბილეთები იყიდება საქფილეგთის სალაროში,

დასაწყისი საღამოს 9 ს. და 30 წუთზე.

საქფილეგთის ცენტრალ. ბაღი პლეხ. გამ. 123

50

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექცია

ამით აცხადებს,

რომ მეცადინეობა ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის მე-5 კურსზე იწყება შემდეგ ვადებში:

სუბტროპიკულ ფაკულტეტზე	1 ოქტომბერს.
მექანიზაციის "	1 ოქტომბერს.
მევენახეობის "	7 ოქტომბერს.
მეაბრეშუმეობის "	1 ოქტომბერს.
აგრონომიულ "	1 ნოემბერს.
მცენარეთა დაცვის "	19 სექტემბერს.

16033 საქ. სას.-სამ. ინ-ტის დირექტორი ა. ბუაჩიძე.

დამწუხრებული დედა გულნარა, ქმარი სევერიანე მატარაძე, შვილები: ოთარი, ნოდარი, თინიკო, დედა და რძლები იუწყებიან საყვარელ

ნინო მუქელაძე — მატარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 სექტემბერს 5 ს. კალინინის, 114.

16041

უახლოესი მეგობრები, გრიშა აბულაძე, ვარლამ ჩარკვიანი, ვანიკა კუხალაშვილი, გალაქტიონ ხუციშვილი და [illegible] მეგობრებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

ანდრე მოსე ნიკოლოზის-ძე ჩარკვიანის

მოულოდნელად დაკარგვას. 16025

გულმოკლული და საშა, სიძე ვალოდია კაკაბაძე, დისწულები: მზია, ცისანა იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს დიდუბეში დანიშნულია უდროოდ დაკარგული აღმზრდელი ძმის, სახელმწიფო დოცენტის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის

გრიშა ნუცუბიძის

სამოქ. პანაშვიდი. 16022

ცეკავშირის თანამშრომლები: თოხაძე, დოლიძე, მაჭავარიანი, ხუბუა, ბუაჩიძე, ბზიავა, ხინთიბიძე, ურუშაძე, ასათიანი, წერეთელი, მაჩაბელი, გეგეშიძე, მაგალაძე, ფუხაძე, გამრეკელი იუწყებიან ამხ. პეტრე ბებუნავას მამის

ანტონ ბებუნავას

გარდაცვალებას. 16024

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საალმშენებლო ტრესტ „საქკომუნმშენის

ბალანსი (1936 წლის პირველი იანვრისათვის)

აქტივი

№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	
		მანეთი	კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	325.611	24
2	სამუშაოთა წარმოება	5.292.590	46
3	მასალები	559.908	31
4	სალარო	4.847	37
5	მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	146.376	19
6	დებიტორები	166.969	30
7	საქვეანგარიშო თანხები	78.534	52
	ბალანსი	6.574.837	69

პასივი

№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	
		მანეთი	კაპ.
1	საბრუნავი ფონდი	597.675	63
2	საამორტიზაციო ფონდი	41.300	04
3	რეზერვები	5.321	11
4	გრძელვადიანი სესხები	115.390	80
5	დამკვეთნი შესრულებულ სამუშაოების მიხედვით	5.358.838	07
6	დანარჩენი კრედიტორები	881.865	05
7	ანგარიშსწორება ფინსახკომის ორგანოებთან	32.163	02
8	1935 წლის დაგროვება	42.383	67
	ბალანსი	6.574.837	69

ტრესტის მმართველი **ალექსანდრე თავდგირიძე.** მთ. ბუხჰალტერი **ვახტანგ ნონიკაშვილი.**

ბალანსი დამტკიცებულია ფინსახკომის საბალანსო კომისიის მიერ 1936 წლის 20/IV. 1525

პიკ. კვ. ამაღლების ინსტიტუტი

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით ტფილისში ხსნის სკოლამდელ მასწავლებელთა მოსამზადებელ ორთვიან კურსებს.

კურსებზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები 18-დან 35 წლამდე. მსმენელნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. კურსდამთავრებულნი გაანაწილდებიან საბავშო ბაღებში სამუშაოდ. განცხადებების მიღება 18 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. ინსტიტუტის მისამართი: ლომინაძის ქ. № 5

70 ინსტიტუტის დირექტორი დ. თოფურია.

ექიმი ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.

მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.

მისამართი: კამოს ქ. № 72.

დამწუხრებული მეუღლე ნინო შვილით ანზორით აუწყებს საზოგადოებას

სევერიან ივანეს-ძე მუსერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 სექტემბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი 15 სექტემბერს 7 ს. [illegible], 12.

16021

ტფილისის სასოფლო - სამეურნეო მუშფაკის დირექცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მუშფაკის თანამშრომლის ბახვა კვაჭაძის მამის

მოსე კვაჭაძის

გარდაცვალების გამო. 15993

მეუღლე მარიამ ერისთავი, შვილი ალექსანდრე სერგოს-ძე, რძალი ლიდია იუწყებიან

სერგო კონსტანტინეს-ძე ერისთავის

გარდაცვალებას. გასვენება 15 სექტემბერს, 5 ს. ორჯონიკიძის, 104 კუკიის სასაფლაოზე. 16031

შვილი ქრისტინე, სიძე ილია ჩიქვაიძე შვილებით ცისანათი და გურათ. მით იუწყებიან საყვარელი

ვენიკა ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 სექტემბერს, ს. ლაშეში. (ხარაგაულის რაიონი) 16034

დამწუხრებული მშობლები ზინაბ და ლეო ნაკაშიძეები მშობლებით და ძმებით იუწყებიან

პატარა მამუკა ნაკაშიძის

გარდაცვალებას. 16047

გამწუხრებული დედა ავგრაფინა, მეუღლე მარო, სიდედრი ეფროსინე, ბიძა სერგო, ბიცოლა ელენე, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს, 6 ს. [illegible] სასაფლაოზე დანიშნულია უდროოდ დაკარგულ

გრიშა კონსტანტინეს-ძე შავეანიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 16042

გამწუხრებული დედა ელისაბედ, მეუღლე მინადორა, შვილები: შალიკო, დავით, ვასილ, ოლია, ნინო, კოლია, რძალი ლუბა, შვილიშვილი ცისანა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას

ვლადიმერ ბიტუს-ძე ჩილაჩავას

გარდაცვალებას. 749

თავზარდაცემული მამა ვლასა, ძმა კარლო, ბებია ელენე, ბიძა ნიკიტა, ბიცოლა ნინო, მაზიდები: მარგალიტა, ქეთო ქმარ-შვილით იუწყებიან საყვარელი

გოგი ვლასას-ძე აროშელიძის

დაკარგვას. დაკრძალვა 17 სექტემბერს [illegible]. 16049

ძმა კოტე ფავლენიშვილი მეუღლით ანეტათი და შვილებით ნინოთი და შაქრიკოთი, სიძე გაბო შავერიშვილი მწუხარებით იუწყებიან საყვარელ

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ფავლენიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] ს. სამბეროში 13 სექტემბერს. 16046

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ. 8584